ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 26 სექტემბერი | 1995 № 61 (199) | ფასი 30 თეთრი




# იქნებ ტოკიოში გატყდეს ნავსი!

რაც დამოუკიდებლები გვქვია, ჯერ მსოფლიოს ჩემპიონი არა გვყოლია. ამ დღეებში იქნებ ქიუდოისტებმა აგვისრულონ ნატვრა. ზეგ ტოკიოში მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი იწყება. ქართველთაგან იჭიდავებენ:

**ხუთშაბათს:**

დავით ხახალეიშვილი (მძიმე)

მევლუდ ლობჟანიძე (95)

**პარასკევს:**

ივერი ჯიქურაული (86)

სოსო ლიპარტელიანი (78)

**შაბათს:**

გურამ მოდებაძე (71)

გიორგი რევაზიშვილი (65)

**კვირას:**

გიორგი ვაზაგაშვილი (60)

ალექსი დავითაშვილი (აბს.)

## ჯანაშია დეკემბერში დაგვტოვებს

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით „სამტრედიისა“ და საქართველოს ოლიმპიური ნაკრების თავდამსხმელის ზაზა ჯანაშიას მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადასვლის ამბავს. ჩვენი დაუზუსტებული ინფორმაციის თანახმად სატრანსფერო თანხა — 300 ათას დოლარს შეადგენდა. თუმცა, როგორც „სამტრედიის“ გუნდის წარმომადგენელმა გვითხრა, ეს თანხა მხოლოდ 50 000 დოლარს ყოფილა, კონტრაქტი კი დადებულია იმ პირობით, რომ ზაზა ჯანაშიას სხვა გუნდში გადასვლის შემთხვევაში სატრანსფერო თანხის ნაწილს „სამტრედიაც“ მიიღებს. თუმცა, ქართველი თავდამსხმელი, გინდ ჯამარაულისა არ იყოს, რუსეთს მხოლოდ დეკემბერში გაემგზავრება, მანამდე კი „სამტრედიაში“ იასპარეზებს.

დღეს კი თბილისში, ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის მე-8 ტურის ცენტრალური მატჩი „დინამო“ — „დილა“ გაიმართება. ტურის დანარჩენი 6 შეხვედრა ხვალ შედგება: ეგრისი — კახეთი, გურია — ივერია, დურუჯი — შევარდენი, სამტრედია — მეტალურგი, კოლხეთი — ტორპედო, სიონი — მარგვეთი.

ბათუმისა და ზუგდიდის თამაში გადატანილია: ზეგ ბათუმელები თასების თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩს გამართავენ გლაზგოში, „სელტიკთან“.

## «მეობა» ელის თურქებს

ხვალ, 27 სექტემბერს 17 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში ქუთაისის „მეობა“ ლილიან რონკეტის თასის პირველ მატჩში თურქეთის „ბოთასფორს“ უმასპინძლებს. თურქი ქალები თბილისს დღეს ჩამოდიან, ტელეფონით უცნობებიათ ჩვენებისთვის: ადანადან ავტობუსით მოვდივართ, სამშაბათს ჩამოვაღწევთ და პირდაპირ სპორტის სასახლეში მოვალთ სავარჯიშოდო. დღესვე ჩამოდიან მსაჯებიც — მოლდოველი იური იაკოვლევი და ლიტველი დავიდიავიჩუსი.

„მეობა“ კვლავაც ინტენსიურად ემზადება, ოღონდ ერთი დანაკლისი მაინც ექნება — არ ითამაშებს გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მანანა მაისურაძე, რომელმაც „კაქტუსის“ მეორე მწვრთნელთან მერაბ ცირიკიძესთან რამდენიმე დღის წინ ოჯახი შექმნა. „სარბიელი“ ულოცავს ახალდაქორწინებულებს, ხოლო ქუთაისელ კალათბურთელებს წარმატებას უსურვებს.

საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა ნაკრებმა დაიწყო მზადება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის. ჩვენები 8 ოქტომბერს ბრატისლავაში ეთამაშებიან სლოვაკეთს, ხოლო 11 ოქტომბერს ბოსნიას მიიღებენ.

ბესიკ ლიპარტელიანმა 13 კალათბურთელი გამოიძახა: კახა შენგელია, მამუკა ტურაშვილი, ნიკოლოზ დერიუგინი, ირაკლი ბაქრაძე, მიხეილ კობეშავიძე, გია სანაძე, ამროსი ორმოცაძე, ნუგზარ კოკოლიშვილი, კახა ბარამიძე (ყველა — ვითა), რევაზ ჩხეიძე, დავით თორთლაძე (ორივე — კაქტუსი), ლევან ქარაბაკი (უგუნდოდ). 1 ოქტომბერს სლოვენიიდან ჩამოვა ვლადიმერ სტეფანია. მოიწვიეს აგრეთვე დინამოელები დავით ბერძენიშვილი და გელა დარსაძე, მაგრამ „დინამო“ ამ დღეებში თურქეთში წასულა შეკრებაზე და ეს კალათბურთელები ნაკრების კანდიდატებს გამოაკლდნენ. საბერძნეთში მოთამაშე დავით უსტიაშვილსაც შეეხმიანენ, მაგრამ მას მენისკის ოპერაციის შემდეგ ვარჯიში არ დაუწყია. ვახტანგ ნაცვლიშვილი კი ამერიკაშია და მისი ჩამოსვლა ვერ მოხერხდება.

ნაკრები 28 სექტემბრიდან შეკრებაზე გადასვლას აპირებს. თუმცალა, მწვრთნელთა თქმით, ეს შეიძლება ვერ მოხერხდეს უფულობის გამო. მეორდება ამაწინდელი სიტუაცია, როცა ეროვნული გუნდი ინგლისში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე შეკრებაგაუვლელი გაემგზავრა.

# „მარგვეთი“ და მარგველი დაწინაურდნენ



ზვიად ენდელაძე,
მარგვეთი — 12
ბომბარდირები:
მიხეილ აშვეთია,
ტორპედო — 10
ზურაბ იონანიძე,
სამტრედია — 10

გაზეთის წინა ნომერში მეექვსე-მეშვიდე ტურის თითქმის ყველა შედეგი გაცნობეთ ახლა კი ამ ტურების ცენტრალური თამაშების მიმოხილვას გთავაზობთ...

***

18 აგვისტოს ფოთში მეექვსე ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩში იქაურმა „კოლხეთმა“ ბათუმის „დინამოს“ უმასპინძლა. ორივე გუნდი საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლია, ამიტომ, ცხადია, დაძაბული თამაშიც გაჩაღდა და სტადიონზე მაყურებელიც ბლომად მოვიდა. თამაშის პირველი ნახევარი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, იყო სახიფათო მომენტებიც, მაგრამ საბოლოო დარტყმამდე საქმე ვერა და ვერ მიდიოდა. ის იყო, მსაჯს პირველი ტაიმი უნდა დაესრულებინა, როცა სასტვენამდე 20 წამით ადრე ბათუმელმა მუჯირმა თავისი საჯარიმოს მისადგომებთან მეტოქე ხელით დაიჭირა, რისთვისაც ყვითელი ბარათიც დაიმსახურა და სახიფათო საჯარიმოც აიკიდა. ბურთთან ჩვეულებისამებრ ფოთელი კიკლიაშვილი მივიდა. მის მიერ ჩაწოდებულს ბაზვა ამბიძემთავი დაუხვედრა და ლამაზი გოლით ანგარიშიც გახსნა. მეორე ნახევარში ბათუმელთა უპირატესობა გამოიკვეთა. სტუმრები სულ უფრო დიდი ძალებით ცდილობდნენ შეტევას. მათ ამაგიც დაუფასდათ, მაგრამ გოლი ისეთ მომენტში გავიდა, რომ თავად ბათუმელი ფეხბურთელებიც კი არ ელოდნენ და საკმაოდ კურიოზულიც გახლდათ. სტუმართა ერთ-ერთი შეტევისას მასპინძელთა გუნდის მცველმა გოროზიამ ბურთი მოიგერია. დარტყმული მოულოდნელად ბათუმელ უჯმაჯურიძეს ზურგზე მოხვდა და ფოთელთა კარის ბადეში აღმოჩნდა. მსაჯმა წესისამებრ გოლი დააფიქსირა, ხოლო გახარებული სტუმრები უჯმაჯურიძეს ულოცავდნენ. დარჩენილ დროში საგოლე მომენტი არც ერთ კართან არ შექმნილა. მსაჯის საფინალო სასტვენმა მეტოქეები მშვიდობიანად დააცილა ერთმანეთს.

***

მეშვიდე ტურში ორი მატჩი განსაკუთრებით იპყრობდა გულშემატკივართა ყურადღებას. ქუთაისში „ტორპედო“ „სამტრედიას მასპინძლობდა, ხოლო რუსთავში „მეტალურგი“ — თბილისის დინამოს.

ქუთაისიში დაძაბული და საინტერესო შეხვედრა გაიმართა. გამარჯვებისათვის ორივე გუნდი თავგამოდებით იბრძოდა. მასპინძელთა ახალგაზრდა გოლეადორმა აშვეთიამ ანგარიში გახსნა და ადგილობრივ ქომაგებს გამარჯვების იმედი ჩაუსახა, მაგრამ სამტრედიელთა ორმა გოლმა ყველას ცივი წყალი გადაასხა. მარცხს ქუთათურებმა ისევ დაუოკებელმა აშვეთიამ გადაარჩინა. მის მიერ შესრულებული დარტყმის შემდეგ მეკარის ნახტომი ამაო გამოდგა. მაშ ასე, საკმაოდ დაძაბული იმერული დერბი ყაიმით დასრულდა, ხოლო მანამდე ქულადაუკარგავმა „სამტრედიამ“ ჩემპიონატში პირველად ფრედ ითამაშა.

***

გათამაშების ლიდერი „მეტალურგი“ ამ დღეს თბილისის „დინამოს“ შეეჭიდა. თავიდანვე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სათამაშო მინდვრის არასახარბიელო საფარმა მატჩის სანახაობრივ მხარეზე გავლენა იქონია. მიუხედავად ამისა თამაში დაძაბული და საინტერესო გამოდგა.

რუსთაველები ცდილობდნენ თავიანთი თამაში დასაწყისიდანვე მეტოქისთვის თავს მოეხვიათ, მაგრამ „დინამომ“ ტოლი არ დაუდო და შეუტია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყრუ დაცვას არცერთი გუნდი არ მიმართავდა. ყიფიანმა თავდამსხმელებს კერძევაძესა და იაშვილს უკან წინა ტურის ულამაზესი გოლის ავტორი, ახალგაზრდა დავით მუჯირი დაუყენა. ამ ფეხბურთელს ცოტა სითამამე აკლია, თორემ ბურთის მიღება-დამუშავება და კარგი პასი ნამდვილად არ ეშლება. სპეციალისტების აზრით მან დიდი ფეხბურთი უნდა ითამაშოს. თამაშიდან თამაშამდე უმატებს როინ კერძევაძე, რომელიც ამ დღეს ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ გოგიჩაიშვილთან და ზოიძესთან ერთად. იგი მოედნის სამ მეოთხედზე მოძრაობდა. რუსთაველთა მხრიდან მეკარე დოლიძესა და თავდამსხმელ ჩალაძეს გამოვყოფდი. პირველმა არაერთხელ იხსნა გოლისაგან მასპინძლები, ხოლო მეორე მთელი ორი ტაიმის განმავლობაში სტუმართა დაცვას დაძაბულობაში ამყოფებდა. პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს. თევზაძის მიერ საჯარიმოდან ძლიერად და ზუსტად დარტყმული ბურთი თბილისელთა მეკარე ზოიძემ ნახტომში მოიგერია. ზოიძის უშეცდომო და საიმედო თამაშზე უფრო მოგვიანებით შევჩერდებით. ორიოდ წუთის შემდეგ კობიაშვილის დარტყმული უხეირო მინდვრის საფარის გამო უშნოდ ახტა და მეკარეს შემთხვევით მოხვდა, თორემ ანგარიში გაიხსნებოდა. ტაიმის ბოლო წუთზე დაუღალავმა კერძევაძემ თავისი მეურვე მოატყუა და ბურთი საჯარიმოში კარისკენ ზურგით მდგარ იაშვილს მიაწოდა. ყველას ეგონა, იაშვილი თვითონ შეუტევდა, მაგრამ მან მცველი გაიყოლია, ხოლო ბურთი კერძევაძეს დაუტოვა. თავდამსხმელის დარტყმულს მეკარე ოდნავ შესწვდა, მაგრამ კარი გოლს ვერ გადაარჩინა.

მეორე ნახევარში კიდევ უფრო გამოიკვეთა დინამოელთა უპირატესობა. გოლის გატანა შეეძლოთ გოგიჩაიშვილს, იაშვილს, დემეტრაძეს, კიკნაძეს, მაგრამ რუსთაველთა მეკარე დოლიძემ ყველა დუელი მოიგო. ცოტა ხანში ყიფიანმა მოედანზე ტრამვამოშუშებული ჯამარაული გამოიყვანა. გოჩამ „დინამოს“ შეტევებს უფრო დალაგებული სახე მისცა. თამაშის ბოლოს რუსთაველებმა აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. ჩალაძემ საჯარიმოში ბურთი მიიღო, კარისკენ ზურგით მდგარმა მცველი ჩამოიშორა და ხუთიოდე მეტრიდან შორეულ კუთხეში ძლიერად დაარტყა. რუსთაველები უკვე გოლს ზეიმობდნენ, მაგრამ თბილისელთა გოლკიპერი სხვაგვარად სჯიდა. ზოიძემ დარტყმული არაადამიანურ ნახტომში მოიგერია. თამაშის ბოლოს კიკნაძემ მოედნის ცენტრში გადაცემა ჩაჭრა და წინ გაიჭრა, საჯარიმოში შესულმა კი ბურთი ჯამარაულს დაუტოვა, რომლის დარტყმულს დოლიძემ ვერაფერი მოუხერხა. თამაშის შემდეგ რუსთაველთა მთავარ მწვრთნელს რეზო ძოძუაშვილს კომენტარი ვთხოვეთ: „მართალია, „დინამო“ ახალგაზრდული გუნდია, მაგრამ ჩვენთან შედარებით ფეხბურთელთა დიდი არჩევანი გააჩნია და მომზადების უკეთესი პირობები აქვს. გარკვეული მიზეზების გამო თამაშზე ვერ გამოვიყვანეთ ორი ძირითადი ფეხბურთელი მეტრეველი და არჩვაძე. ორივე გოლი დაცვაში დასანანი შეცდომების შემდეგ გავუშვით. მიუხედავად დამარცხებისა, ჩვენ მაღალი ადგილისთვის ვიბრძოლებთ“.

მამუკა კვანტალიანი

VII ტური, 21, 22 სექტემბერი

**ივერია 1:0 კახეთი**

ივერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი, გეგეჭკორი, ჩიბაშვილი, ი. ბუხრიკიძე, ხარაზიშვილი, მაქაცარია (ვ. ბუხრიკიძე 85), [illegible], ტყემალაძე, [illegible], [illegible]

კახეთი: ჩიქვინიძე, შონია, კაციტაძე, საბადირაშვ[illegible], [illegible], [illegible] (გაგნიაშვილი 80), [illegible], ლობჟანიძე, ლევნიაშვილი

1:0 ქობელაშვილი (51)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

**დილა 3:0 სიონი**

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი (ჯალაბაძე 80), მარლიშვილი (ხ. გაგნიძე 80), ტაბატაძე (კაიდარაშვილი 75), რევაზიშვილი

სიონი: დალაქიშვილი (ცოტაძე 82), გაბრიჭიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, რუხაძე, მეფარიშვილი, ვაშაკიძე, ტორონჯელიძე (სამხარაძე 65), მოსეშვილი, მეტრეველი, ანდღულაძე (ფაიქიძე 62)

1:0 მარლიშვილი (18), 2:0 მარლიშვილი (58), 3:0 რევაზიშვილი (79)

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

**მარგვეთი 7:0 დურუჯი**

მარგვეთი: გვენცაძე, მაღლაკელიძე, გურიელიძე, გაბრიჭიძე, ლონლაძე, უკლება (ფოცხვერაშვილი 46), კაკუბავა, ჩხეტია (სულაკაძე 55), ნიკლაური (გენაძე 74), კიკნაძე, ენდელაძე

დურუჯი: პაქსაშვილი, ცინცაძე, ოსაძე, ყანჩაშვილი, ბოჭორიშვილი, კუპრაშვილი, ქარენაშვილი, ოსეფაშვილი, ნინრიაშვილი, სომხიშვილი, დარჩიაშვილი

1:0 ენდელაძე (26), 2:0 ჩხეტია (40), 3:0 კიკნაძე (52), 4:0 ფოცხვერაშვილი (60), 5:0 ნიკლაური (73), 6:0 კუპრაშვილი (79 საკ. კარში), 7:0 ენდელაძე (89)

მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ბათუმი 3:1 ეგრისი**

**ზუგდიდი 1:3 კოლხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 26-4 | 18 |
| მეტალურგი | 7 | 6 | 0 | 1 | 17-5 | 18 |
| ტორპედო | 7 | 5 | 1 | 1 | 20-7 | 16 |
| დილა | 7 | 5 | 1 | 1 | 16-8 | 16 |
| სამტრედია | 5 | 4 | 1 | 0 | 19-8 | 13 |
| კოლხეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-2 | 13 |
| შევარდენი | 7 | 4 | 0 | 3 | 15-[illegible] | 12 |
| დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 11-2 | 10 |
| ბათუმი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-5 | 10 |
| ზუგდიდი | 6 | 2 | 0 | 4 | 12-16 | 6 |
| კახეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 4-13 | 4 |
| ივერია | 7 | 1 | 0 | 6 | 4-15 | 3 |
| ეგრისი | 7 | 1 | 0 | 6 | 4-16 | 3 |
| სიონი | 7 | 1 | 0 | 6 | 5-20 | 3 |
| გურია | 7 | 1 | 0 | 6 | 2-21 | 3 |
| დურუჯი | 7 | 0 | 1 | 6 | 0-26 | 1 |

# ინალიშვილი

## დილეტანტ მწვრთნელთან და შურიან ფეხბურთელებთან

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ალექსანდრე ჩივაძეს ბევრჯერ უთქვამს, რომ ჩვენს ნაკრებს ჯერ შეხვედრა არ ჩაუტარებია ოპტიმალური შემადგენლობით. ხან ერთი ფეხბურთელი გამოდის მწყობრიდან და ხან კიდევ მეორე. გერმანიასთან შეხვედრისთვის კი ერთბაშად სამი მოთამაშე — კახი ცხადაძე, გოჩა ჯამარაული და გელა ინალიშვილი არ იყო გუნდში. ჩვენი რესპოდენტი — გელა ინალიშვილი ბოტკინით იყო დაავადებული.

— ერთი თვის წინ მოსკოვში ვიმყოფებოდი. დანიის „კოპენჰაგენში“ ჩემი გადასვლის საკითხი წყდებოდა. თუმცა, კი დამიმგვიანია და სანამ პასუხი გავუგზავნე დანიელებს, მანამდე თურმე მათ სხვა უცხოელი მიუწვევიათ. ეს რუსებმა გაიგეს და მოსკოვის ორი გუნდის — „ლოკომოტივისა“ და ც.ს.კ.ა.-ს წარმომადგენლები დამიკავშირდნენ და საკმაოდ კარგი პირობები შემომთავაზეს. ამ დროს მოსკოვში ჩამოვიდა „დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გუნდში დაბრუნება შემომთავაზა. ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ. ამის შემდეგ ყველა წინადადება გვერდზე გადავდე და „დინამოში“ დაბრუნება ვარჩიე. მაგრამ, მერე დაიწყო ის, რის გამოც დღეს ჩემი სიარულიც კი არ შეიძლება. თბილისში ჩამოსვლისთანავე თავი შეუძლოდ ვიგრძენი და ექიმს მივაკითხე. მართალია, ღვიძლი მაწუხებდა, მაგრამ ეს დაავადება საერთოდ, ფეხბურთელებს სჭირთ და არ მეგონა, თუ ასე ცუდად იყო საქმე. ექიმის დიაგნოზმა გული გამიხეთქა — სიყვითლე აღმოაჩნდა. კიდევ კარგი, მძიმე ფორმით არ იყო და საავადმყოფოში დიდხანს არ მომიწია გაჩერება. ახლა უკვე მკურნალობა დავამთავრე, თუმცა, ხუთი თვე მაინც მომიწევს დასვენება. მართალია, იძულებითი დასვენება მაინც და მაინც სასიამოვნო არ არის, მაგრამ, უკვე თხუთმეტი წელია ფეხბურთის გადამკიდეს ერთად აღებული ორი კვირა არ დამისვენია და შესაძლოა ავადმყოფობა სასიკეთოდაც წამადგეს.

— ნუთუ მოედანზე გასვლის სურვილი არ გიჩნდება?

— არა, მაგის თქმა კი არ მინდა, რომ ფეხბურთი მომბეზრდა. უბრალოდ, ზოგჯერ რობოტსაც უნდა დასვენება და მით უმეტეს ადამიანებს, თორემ სხვაგვარად გამოვიფიტებით. ამით არის ეს პერიოდი ჩემთვის სასარგებლო, რომ დავისვენო და ძალები აღვიდგინო, თორემ მთელი ცხოვრება რომ კაცი ფეხბურთს ითამაშებს, იმას როგორ შეიძლება ფეხბურთი მობეზრდეს? როდესაც ვთამაშობთ, ალბათ, მაშინ ვერ ვგრძნობთ, თუ რა არის ჩვენთვის მოედანზე გასვლა, თორემ ახლა ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ ვარჯიშს.

ისე ერთიც არის, კარგად უთქვამთ, ზოგი ჭირი მარგებელიაო. როდესაც ვთამაშობდი, მაშინ ყველას ვჭირდებოდი. ავადმყოფობის დროს კი ბევრი ისეთი რამ დავინახე, რასაც ადრე ვერ ვამჩნევდი. თუმცა, ეს ყველაზე არ ითქმის. მერაბ ჟორდანიასაგან იმხელა სითბო და ადამიანობა ვიგრძენი, რომელიც ძნელია სიტყვებით გადმოსცე. იგივე ითქმის დავით ყიფიანზეც. მამხნევებდა, იმედს მაძლევდა, რომ მალე აღვიდგენ ფორმასო. თითქოს, რა არის? ელემენტარული თანადგომა, რომელიც ყველას არ შეუძლია. ამიტომაც ვთქვი, ავადმყოფობამ ბევრი რამ მასწავლა-მეთქი.

— ისევ „ბოტკინამდელ“ პერიოდს დავუბრუნდეთ. გერმანიიდან წამოსვლა რატომ გადაწყვიტე?

— მრავალი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, რომ ცოლი მოვიყვანე და სახლში, ოჯახში ყოფნა მირჩევნია. მეორე ის, რომ კონტრაქტი დავამთავრე და რაც მთავარია, იქ დარჩენის არავითარი სურვილი აღარ მქონდა. ვთამაშობდი რეგიონალური ლიგის არაპრესტიჟულ გუნდში და მწვრთნელთან კონფლიქტი მომივიდა.

— რის გამო?

— ეს კაცი წიგნებში წაკითხულით მსჯელობდა ფეხბურთზე, არადა, ვის გაუგია პრაქტიკის გარეშე, მხოლოდ თეორიებით საქმის კეთება? მე ჩემი დამოკიდებულება მისადმი არც დამიმალავს და მეორე თამაშის შემდეგ არც ვაციე, არც ვაცხელე და ვუთხარი, ფეხბურთის აზრზე არ ხარ-მეთქი. კი მიხვდები, როგორი რეაქციაც ექნებოდა. მას შემდეგ ჩვენს შორის შავმა კატამ გადაიარა და ერთმანეთს აღარ ველაპარაკებოდით.



— გერმანიაში ყოფნისას შენით რომელიმე გუნდი თუ დაინტერესდა?

— საუბრები კი იყო. თუმცა კონკრეტულად მხოლოდ „ჰომბურგში“ მიმიწვიეს, სადაც ნიკა ჩხეიძე, გია ნემსაძე და რეზო არველაძე თამაშობენ. ჩვენი „დინამოს“ მენეჯერი უჩა მალაზონია იყო ჩამოსული ამ კონტრაქტით, რომელსაც მხოლოდ ჩემი ხელმოწერალა აკლდა. თურმე, ამ გუნდის მწვრთნელს ჩემი თამაშები უნახავს უელსში ნაკრების მატჩისას, აგრეთვე „ტენის-ბორუსიას“ რიგებში და მოვწონებივარ. თუმცა, აქაც დავიგვიანე, იმ დანიის გუნდისა არ იყოს. ზემოთაც ვთქვი, ახლახან ცოლი მოვიყვანე და როდესაც უჩა მალაზონია თბილისში მეძებდა, მე მაშინ დასავლეთ საქართველოში ცოლთან ერთად ვმოგზაურობდი.

— დღეისათვის შენი „დინამოში“ დაბრუნება გადაწყვეტილია?

— მართალია, ჯერ კონტრაქტისათვის ხელი არ მომიწერია, თუმცა, ერთი წელი თბილისში ვითამაშებ. შემდეგ ვნახოთ.

— რა შეგძინა გერმანიაში გატარებულმა პერიოდმა?

— არაფერს ორიგინალურს არ ვიტყვი — იქ მეტია პროფესიონალიზმი და ეს პრაქტიკაში დავინახე. ცხოვრების პირობებზე აღარ ვისაუბრებ. იქ ისეთი პირობები გვქონდა, რომ მხოლოდ უნდა გვეთამაშა.

— თამაშობდი კიდეც, მაგრამ სად? ეროვნული ნაკრების წევრს გული არ გწყდებოდა, უსახელო გუნდში რომ იყავი?

— არც უმაგისობა იყო. მაგრამ, იქ წასვლა ორი ფაქტორის გამო გადავწყვიტე. პირველი ის, რომ უცხოეთში მინდოდა თამაში და მეორე — „ტენის ბორუსიაში“ რეზო არველაძე და კახი კაჭარავა თამაშობდნენ. და მათთან ძალზე გამიადვილდა უცხო გარემოსთან შეგუება. ისე, გერმანელ თანაგუნდელებს აშკარად ვამჩნევდი შურს, იმის გამო, რომ ისინი ნაკრებში მოხვედრაზე ოცნებასაც კი ვერ ბედავდნენ, ჩვენ კი ნაკრებში ვთამაშობდით. ეს შური აშკარად იგრძნობოდა.

— არ ვიცი ტენდენციად მივიჩნიო, თუ სხვა რამ არის, მაგრამ ფაქტია, ბოლო დროს ზოგიერთი ჩვენი ლეგიონერი საქართველოს დაუბრუნდით: შენ, კერძევაძე, ყიზილაშვილი, კაჭარავაც. თუმცა კი ეს უკანასკნელი ისევ გერმანიაში დაბრუნდა.

— ეს, უპირველესად „დინამოს“ ხელმძღვანელობის დამსახურება არის. ადრინდელთან შედარებით უკეთესი პირობები შემოგვთავაზეს. ოჯახთან ახლოს ვართ და გვიადვილდება ცხოვრება. კარგია, საზღვარგარეთ ორი-სამი წელი ცხოვრება, თამაში, ბევრს გაიგებ და ნახავ ჭკუის სასწავლებელს, მაგრამ ადრე თუ გვიან ეს ყველაფერი მოგბეზრდება.

— უშენოდ ნაკრებმა შენს „მშობლიურ“ გერმანიაში მოასწრო თამაში...

— შეიძლება ვინმემ გაიცინოს, მაგრამ ამ შეხვედრას რომ ვუყურე, ის გრძნობა დამეუფლა, რომ მალე საქართველოს ნაკრები შეიძლება ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები გახდეს. ნიურნბერგში ჩვენებმა გამარჯვებისათვის ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ გერმანია გამოცდილი გუნდია, სახლში თამაშობდა. ამის გარდა ბედიც მათკენ მიიღრიკა და ფეხბურთში სხვას რას მოაქვს წარმატება?

— ახლა საშუალება მოგეცა მოედნის გარედან, მშვიდად ადევნო თვალი ჩვენს ჩემპიონატს.

— მთავარია, რომ კონკურენცია გაიზარდა, რაც ჩვენი გუნდების ევროპაში დაშვებამ გამოიწვია. ხუთი გუნდი — ქუთაისი, რუსთავი, ფოთი, სამტრედია და ბათუმი წელს ევროპაში გასვლისათვის იბრძოლებს და ბუნებრივია, ეს ჩემპიონატის დონესაც გაზრდის. თუმცა, მიმაჩნია, რომ „დინამო“ კვლავ ფავორიტად რჩება.

— გელა, დღეს ისეთი ტენდენცია გამოჩნდა, რომ შეიძლება ქართველობა აფხაზეთში დაბრუნდეს. ამას კი „ცხუმის“ აღდგენაც მოჰყვება. ასეთ შემთხვევაში შენ როგორ მოიქცევი? დაუბრუნდები სოხუმის გუნდს?

— უკვე ვთქვი, რომ „დინამოში“ ერთი წელი ვითამაშებ, კიდევ ორი წელი მინდა უცხოეთში ნორმალურ გუნდში გადასვლა, მაგრამ თუ აფხაზეთს დავიბრუნებთ, „ცხუმში“ ვალდებულიც კარ ვითამაშო და რითაც შემეძლება დავეხმარო. ბოლოს და ბოლოს, დღევანდელ საქართველოს ნაკრებში აფხაზეთში გაზრდილი ექვსი მოთამაშე — მე, შელია, ქეცბაია, ჩიხრაძე, გოგრიჭიანი და მიშა ჯიშკარიანი ვირიცხებით და საჭიროც არის ამ გუნდის აღდგენა. თანაც, მომენატრა იქაურობა.

..საუბრის დასასრულს გელამ იმედიანად მითხრა: „ტრაბახით კი არ ვამბობ, უბრალოდ ვიცი ჩემი თავის ამბავი და ვარჯიშის დაწყებიდან ერთ თვეში, დარწმუნებული ვარ, დაკარგულს ავინაზღაურებ“. იმედია ასეც იქნება.

მერაბ მამულაშვილი

# სანამ ფეხბურთს ვთამაშობთ,



მართლაც რომ აირია მონასტერი. ყველაფერი დაწყობილ-დალაგებული იყო ევროპაში. ამერიკული კინოების კარგი და ცუდი გმირებისა არ იყოს, არსებობდა კონტინენტის „დაბანილ-დავარცხნილ-პარფიუმერიის სურნელიანი“ დასავლეთი ნაწილი და სოციალისტური, „ცოტა დაუბანელი, მაზუთის და ოფლის სუნდაკრული“ აღმოსავლეთი. ფეხბურთშიც ყველამ კარგად იცოდა ვინ რისი მაქნისი იყო. ტიტულებს ძირითადად დასავლეთელები იხვეჭდნენ, რომელთაც იცოდნენ, რომ აღმოსავლეთში მავანთან ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ, მავანთან კი შეეძლოთ არაფერზე ედარდათ, ასკინკილითაც მოუგებდნენ. მოკლედ, ყველაფერი ცხადი იყო. შემდეგ აღმოსავლეთი ხელყუმბარასავით გასკდა და ნატეხებად დაიშალა. ერთ ასეთ ნატეხს ქართველებიც წარმოვადგენთ, მაგრამ სხვებიც არიან. ეს ნატეხები ცალკე

# ხორვატია არსებობს!

ცალკე შეუერთდნენ საფეხბურთო ევროპას და დადგა ბებერი კონტინენტი ფასეულობათა გადაფასების აუცილებლობის წინაშე. ავიღოთ მაგალითად საბჭოთა კავშირი. ადრე ცნობილი იყო წითელი ქვეყნის ნაკრების ძალაც და მისი ევროთასებზე მონაწილე გუნდების პოტენციაც. ახლა? როგორ განსაზღვროს რომელიმე დასავლეთევროპული ქვეყნის ნაკრებმა, რა ძალისანი არიან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნული გუნდები? აიღოს სსრკ ნაკრების სიძლიერე, გაყოს მასში ოდესღაც შემავალი ევროპული რესპუბლიკების რაოდენობაზე და სწორ პასუხს მიიღებს?იქნებ ამ ნაკრებს ორი ან მეტი თანაბარი ძალის მქონე ქვეყნის ფეხბურთელები ქმნიდნენ და ახლა განცალკევებით, მათი შემძლეობა კი არ გაიყო, არამედ ძველებური სიძლიერის რამდენიმე გუნდი იშვა? ან იქნებ, სულაც, ის ქვეყნები ერთმანეთს ვერ ეწყობოდნენ და ხელს უშლიდნენ, თავიანთთვის კი ორი თუ სამი ადრინდელზე უფრო ძლიერი გუნდი შექმნან?

მოკლედ აირია მონასტერი, ახალი საფეხბურთო წესრიგის დამყარებას ევროპაში გარკვეული დრო დასჭირდება. დღესჯერ ბევრი რამ კიდევ არ არს ცნობილი. ვთქვათ, ზოგი ქვეყანა აცხადებს ვიცი უნიჭო რომ არ ვარ, მაგრამ ახალი ვარ, „ბებერ ლომებს“ პირდაპირ სამკვდრო-სასიცოცხლოდ როგო შევება, სჯობს ევროპის ჩემპიონატის მიმდინარე ციკლი სავარჯიშოდ გამოვიყენო, შედეგებს კი მომავალში დავგეგმავო, სხვა ქვეყანა კი ასეთ ადაპტაციას არად დაგიდევთ, თავით პირდაპირ მორევში ეშვება და... თუ ხორვატიის მაგალითით ვიმსჯელებთ როგორც ჩანს შედეგსაც აღწევს. ყოფილი იუგოსლავიის ამ ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელებს ტომისლავ ივიჩსა და მიროსლავ ბლაჟევიჩს იმთავითვე არაფრის მორიდებიათ, ჯერ კიდევ მიმდინარე შესარჩევი შეჯიბრების დაწყებამდე დაგეგმეს ჯგუფში გამარჯვება და ინგლისის საგზურის მოპოვება. ამ მიზნისკენ ხორვატთა გუნდი ჯიქურ მიიწევს. „თავხედები“ არც იმას მოერიდნენ, რომ მათ ჯგუფში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (ჩვენი გერმანიისა არ იყოს) და ბოლო პირველობის ფინალისტი იტალიის ნაკრები იყო და შიგ პალერმოში „სკუადრა აძურას“ 2:1 მოუგეს. რა თამაშები დარჩათ ხორვატებს? 8 ოქტომბერს ისინი სპლიტში სწორედ იტალიელებს უმასპინძლებენ, 15 ნოემბერს კი ყოფილ მოძმეებს, სლოვენებს ჩაკითხავენ. იტალიელებს სპლიტში სტუმრობის შემდეგ უკრაინა და ლიტვა რჩებათ სამასპინძლო. ხორვატთა ვაჟკაცობა მარტო „სკუადრა აძურას“ ძლევა არ გახლავთ. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ის ქვეყანაა სადაც რამდენიმე წელიწადია ომი მძვინვარებს. ომი კი იმას ნიშნავს, რომ იღუპება ხალხი, სასტუმროები ლტოლვილებითაა სავსე, ცხოვრების პირობები ცუდია და დიდძალი ფული, რომელიც მშვიდობისას ვინძლო ხეირიან რამეს მოხმარებოდა ტყვია-წამლის შეძენაზე იხარჯება. ტურიზმი, ამ ქვეყნის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო ჩამკვდარია (ხორვატია ხომ ადრიატიკის ზღვის ნაპირასაა) და ჩვენი არ იყოს ვინ ჩავა იქ დასასვენებლად. ასეთ პირობებში თამაშობენ ხორვატები ფეხბურთს და იგებენ კიდეც.

დუბროვნიკი, ხორვატიის ათენად წოდებული ქალაქია. ასე იმიტომ შეარქვეს, რომ მისი როლი ქვეყნის კულტურის ჩამოყალიბებაში უდიდესია. ეს ქალაქი რვა თვის მანძილზე სერბთა ალყაში იყო. ბოლოს, დამცველებმა ალყა გაარღვიეს, მტერი უკუაგდეს და როგორ გგონიათ რა ქნეს უპირველესად დუბროვნიკელებმა? ტაძრის ზარების გუგუნსა და გახარებულ ჯარისკაცთა მიერ ჰაერში ნასროლი ტყვიების ტკაცუხში ჩაატარეს საფეხბურთო მატჩი „დუბროვნიკსა“ და „სეგესტას“ შორის. ფეხბურთს ვთამაშობთ, ესე იგი ხორვატია არსებობს – ასეთია სპორტის ამ სახეობის პოპულარობა ქვეყანაში.

გასულ სეზონში ხორვატიის ფეხბურთმა დიდ წარმატებას მიაღწია. ფიფას რეიტინგში სარეკორდო ნახტომი, 122-ე ადგილიდან 62-ზე, შეასრულა. ხელახლა აღმოჩენილმა საფეხბურთო სიძლიერემ მთელი ერი აიტაცა. ნაკრების თამაშებს უყურებენ ყველგან, ფრონტის წინა ხაზზე, ლტოლვილთა ბარაკებსა თუ ჩვეულებრივ მოქალაქეთა სახლებში. ეროვნული გუნდის დირექტორი ტომისლავ ივიჩი ამბობს: –ყველას გვახსოვს ხორვატთა პირველი თამაში, ეს იყო 1991 წელს ზაგრებში, ჩვენ აშშ-ს 2:1 მოვუგეთ, დიდებული იყო ვალენსიაში ესპანელების ძლევა 2:0, პალერმოში იტალიის დამარცხება 2:1, მაგრამ მთავარი ჯერ წინ არის". რა არის მთავარი? თუ ამ ეტაპზე ბევრი ხორვატი მეოთხე შესარჩევი ჯგუფიდან გასვლაზე მნიშვნელოვანს ვერაფერს ხედავს, გუნდის კაპიტანი, დიდი „მილანის“ ცნობილი ნახევარმცველი ზვონიმირ ბობანი წინ იყურება. მისი აზრით ნაკრები საკმაოდ ძლიერია საიმისოდ, რომ გაისად ინგლისში ნახევარფინალში მაინც გავიდეს.

ზემოთ ტომისლავ ივიჩი ვახსენეთ. ამ კაცის სახელი გულშემატკივრებისთვის კარგადაა ცნობილი. სახელგანთქმული მწვრთნელი სხვადასხვა დროს სათავეში ედგა „აიაქსს“, „ანდერლეხტს“, „პარი სენ ჟერმენს“, „ატლეტიკო მადრიდს“, „პორტოს“, „ბენფიკას“, „მარსელს“ და „ჰაიდუკს“, მოგებული აქვს 14 ტიტული, მაგრამ ამჟამად ნაკრების დირექტორის პოსტს დაჯაბულდა.

მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩიც საკმაოდ ცნობილია. მას უმუშავია „გრასჰოპერში“, „ნანტსა“ და „პაოკში“. მათი შედარებისას ამბობენ ივიჩი უფრო იდეალისტია, ბლაჟევიჩი კი პრაგმატიკოსიო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბლაჟევიჩი ხშირად მიმართავს სახელდახელო ტაქტიკურ ექსპერიმენტებს, ივიჩი კი ხანგრძლივი და თანმიმდევრული მზადების მომხრეა. „ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები გვყავს – ამბობს ბლაჟევიჩი – მათ ბევრი ახსნა-განმარტება და წვრთნა არ სჭირდებათ. ხორვატია ინგლისში წარმატებას მიაღწევს." ივიჩი უფრო თავშეკავებულია „მართალია საუცხოო მოთამაშეები გვყავს, მაგრამ სერიოზული მომზადების გარეშე ევროპის ჩემპიონატზე ვერაფერს მივაღწევთ."

პალერმოში, იტალიელები ივიჩმა დაამარცხა. ბლაჟევიჩი მაშინ უეფასგან შერისხული იყო.საქმე ის გახლავთ, რომ ბლაჟევიჩი არის „ფ.კ. კროაციას“ მფლობელი, პრეზიდენტი და მწვრთნელი, იმხანად კი „ოსერისა“ და „კროაციას“ შეხვედრის დროს მომხდარი ინციდენტის გამო დისკვალიფიცირებული გახლდათ.

ორივე ხელმძღვანელი ეროვნულ გუნდს უსასყიდლოდ უდგას სათავეში. ფულთან დაკავშირებით ესეც საინტერესოა: ივიჩმა და ბლაჟევიჩმა თავიდანვე გადაწყვიტეს, რომ ყოველი კონკრეტული თამაშის მოგებისთვის, თუნდაც იტალიასთან, ფეხბურთელებს პრემიებს არ გადაუხდიდნენ. სულ ერთია ვისთან თამაშობ და როგორ, თამაშის მერე გაძლევენ 650 დოლარს – ეს გასამრჯელოა. სამაგიეროდ ჯგუფში გამარჯვება და ინგლისის საგზურის მოპოვება იმ მოთამაშეებს, რომლებიც ყველა შეხვედრაში მიიღებენ მონაწილეობას 70 000 დოლარს მოუტანს.

ხორვატიის ნაკრების 30 კანდიდატიდან 17 საზღვარგარეთ თამაშობს. ამათგან რვა ესპანეთში, სამი იტალიაში, ორი გერმანიაში, ორი ავსტრიაში, თითო საფრანგეთსა და ჰოლანდიაში. „შინაურთაგან“ შვიდი სპლიტის „ჰაიდუკშია“, ხუთი „კროაციაში“, ერთი კი „გაბრიჩში“.



ზვონიმირ ბობანი



ალენ ბოკშიჩი

მიროსლავ ბლაჟევიჩი

## ხორვატიის ნაკრების 30 კანდიდატი

### მეკარეები

დრაჟენ ლადიჩი (1.01.1963) „კროაცია". ნაკრებში ყველაზე მეტი, 17 თამაში. გუნდის პირველი მეკარეა.

ტონჩი გაბრიჩი (11.03.1961) „ჰაიდუკი". ნაკრებში 4 თამაში. გასულ სეზონში სპლიტის „ჰაიდუკის" წარმატებებში (დუბლი) უდიდესი როლი ითამაშა. სპლიტამდე ხუთი სეზონი „რიეკას" კარს იცავდა, მანამდე კი „[illegible]" და სალონიკის „პაოკში" გამოდიოდა.

მარიჯან მარმიჩი (6.05.1965) „ვარტეკსი". ნაკრებში 1 თამაში

### მცველები

სლავენ ბილიჩი (11.09.1965) „კარლსრუე" (გერმანია). ნაკრებში 14 თამაში. 1993 წელს გადავიდა „კარლსრუეში" „ჰაიდუკიდან". გერმანული გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა.

იგორ სტიმაჩი (6.09.1967) „ვიჩენცა" (იტალია). ნაკრებში 11 თამაში. იუგოსლავიის გუნდში 1987 წლის იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებული. „ჰაიდუკიდან" იტალიაში გასულ ზაფხულს გადავიდა.

ნიკოლა იერკანი (8.12.1964) „რეალ ოვიედო" (ესპანეთი). ნაკრებში 12 თამაში, 1 გოლი. ლიბერო. ესპანეთის პირველობაზე 1990 წლიდან გამოდის. მანამდე „ჰაიდუკში" თამაშობდა.

რობერტ იარნი (26.10.1968) „რეალ ბეტისი" (ესპანეთი). ნაკრებში 14 თამაში. სწრაფი მარცხენა მცველი, რომელიც ხშირად ერთვება შეტევებში. ადრე „ჰაიდუკში" თამაშობდა, საიდანაც 1991 წელს გადავიდა იტალიაში. გამოდიოდა „ბარიში", „იუვენტუსში", „ტორინოში". შარშან კვლავ „იუვენტუსში" დაბრუნდა და ჩემპიონი გახდა. გასულ ზაფხულზე 4,8 მილიონ დოლარად ესპანეთში გაიყიდა.

ზვონიმირ სოლდო (1.11.1967) „კროაცია". ნაკრებში 5 თამაში

დარკო ბუტოროვიჩი (12.08.1972) „ჰაიდუკი". ნაკრებში 1 თამაში

ჯელად ტურკოვიჩი (17.08.1972) „კროაცია". ნაკრებში 5 თამაში

დუბრავკო პავლიჩიჩი (28.11.1967) „ჰერკულეს ალიკანტე" (ესპანეთი). ნაკრებში 11 თამაში

ელვის ბრაიკოვიჩი (12.06.1969) „მიუნხენ 1860" (გერმანია) ნაკრებში. 5 თამაში

### ნახევარმცველები

ალიოშა ასანოვიჩი (14.12.1965) „ჰაიდუკი". ნაკრებში 13 თამაში, 1 გოლი. გამოცდილი ნახევარმცველია, საუცხოოდ ხედავს მოედანს და აქვს გოლის გატანის ალღო. გამოდიოდა იუგოსლავიის იუნიორთა, ოლიმპიურ და ძირითად ნაკრებებში. „ჰაიდუკში" 200 თამაშის შემდეგ გადავიდა საფრანგეთში, სადაც იყო „მეცის", „კანის" და „მონპელიეს" წევრი. 1994 წლის ივლისში „ჰაიდუკს" დაუბრუნდა.

ზვონიმირ ბობანი (8.10.1969) „მილანი" (იტალია). ნაკრებში 12 თამაში, 1 გოლი. კაპიტანია, რომელსაც თანაგუნდელებზე დიდი გავლენა აქვს. 1990 წელს არ წაიყვანეს მსოფლიოს ჩემპიონატზე, რადგან მისი გუნდის „დინამოსა" და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" თამაშის დროს ამტყდარ არეულობაში პოლიციელს გაარტყა. 1992 წელს იყიდა „მილანმა". ორჯერ ითამაშა ჩემპიონთა თასის ფინალში, ერთხელ 1994 წელს, როდესაც „მილანმა" დიდებულად მოუგო „ბარსელონას" 4:0, მეორედ გასულ მაისში „აიაქსთან" 0:1 მარცხის დროს.

რობერტ პროსინეჩკი (12.01.69) „ბარსელონა" (ესპანეთი). ნაკრებში 8 თამაში, 3 გოლი. მონაწილეობდა 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში. 1991 წელს „ცრვენა ზვეზდას" შემადგენლობაში მოიპოვა ჩემპიონთა თასი. 1992 წელს გადავიდა მადრიდის „რეალში", გასული სეზონი „ოვიედოში" გაატარა, ახლა კი „ბარსელონაშია."

ნიკოლა იურჩევიჩი (14.09.1966) „კაზინო" (ავსტრია). ნაკრებში 8 თამაში, 1 გოლი. 1994 წელს „კაზინომ" უეფას თასის ფინალს რომ მიაღწია, როგორც გუნდის წამყვანმა მოთამაშემ გაითქვა სახელი.

რობერტ სპეჰარი (13.05.1970) „ოსიეკი". ნაკრებში 5 თამაში. ერთ ხანს ბელგიის „ბრიუგეში" გამოდიოდა, ახლა კი შინ დაბრუნდა.

იოსკო იელიჩიჩი (5.01.1971) „კროაცია". ნაკრებში 1 თამაში

გორან ვუჩევიჩი (28.05.1971) „ბარსელონა" (ესპანეთი). ნაკრებში 3 თამაში. „ჰაიდუკიდან" „ბარსელონაში" 1992 წელს გადავიდა, მაგრამ მუხლი დაიზიანა და ესპანეთში ვეღარ იასპარეზა. წლეულს „ბარსელონამ" იგი მშობლიურ „ჰაიდუკს" ათხოვა.

სტიპე ანდრიაშევიჩი (7.02.1967) „რაიო ვალეკანო" (ესპანეთი). ნაკრებში 5 თამაში.

ანტე მიშე (14.06.1967) „ვიტესი" (ჰოლანდია). ნაკრებში 7 თამაში.

მლადენ მლადენოვიჩი (13.09.1964) „კაზინო" (ავსტრია). ნაკრებში 12 თამაში, 2 გოლი

ნენად პრალია (11.12.1970) „ჰაიდუკი". ნაკრებში 1 თამაში

### თავდამსხმელები

დავორ შუკერი (1.01.1968) „სევილია" (ესპანეთი). ნაკრებში 12 თამაში, 11 გოლი. თავიდან „ოსიეკში" დაიწყო, შემდეგ ზაგრების „დინამოში" გამოდიოდა, 1991 წელს კი ესპანეთში გადავიდა.

ალან ბოკშიჩი (21.01.1970) „ლაციო" (იტალია). ნაკრებში 9 თამაში. „ჰაიდუკიდან" 1991 წელს „მარსელში" გადავიდა და 1993 წელს ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ნაკრებში ჯერ თავი ვერ გამოიჩინა.

გორან ვლაოვიჩი (12.01.1972) „პადოვა" (იტალია). ნაკრებში 4 თამაში. 1992-93 წლების სეზონის ხორვატიის საუკეთესო ბომბარდირი. „პადოვაში" 1994 წლის ზაფხულიდანაა.

ივიცა მორნარი (12.01.1974) „ჰაიდუკი". ნაკრებში 2 თამაში. ხორვატიის ყველაზე იმედისმომცემი თავდამსხმელია.

მილან რაპაიჩი (16.08.1973) „ჰაიდუკი". ნაკრებში 1 თამაში. ბევრი მას ქვეყნის უნიჭიერეს მოთამაშედ თვლის.

ადრიან კოჟნიკუ (27.10.1970) „კანი" (საფრანგეთი). ნაკრებში 3 თამაში, 1 გოლი

იგორ ცვიტანოვიჩი (1.11.1970) „კროაცია". ნაკრებში 6 თამაში, 2 გოლი.

## ხორვატიის ნაკრების ყველა თამაში

ხორვატია – აშშ 2-1 ზაგრები 17.10.1990
ხორვატია – რუმინეთი 2-0 რიეკა 22.12.1990
სლოვენია – ხორვატია 0-1 მურსკა სობოტა 19.06.1991
ავსტრალია – ხორვატია 1-0 მელბურნი 05.07.1992
ავსტრალია – ხორვატია 3-1 ადელაიდა 8.07.1992
ავსტრალია – ხორვატია 0-0 სიდნეი 12.07.1992
ხორვატია – მექსიკა 3-0 ზაგრები 22.10.1992
ხორვატია – უკრაინა 3-1 ზაგრები 25.06.1993
ესპანეთი – ხორვატია 0-2 ვალენსია 23.08.1994
სლოვაკეთი – ხორვატია 4-1 ბრატისლავა 20.04.1994
უნგრეთი – ხორვატია 2-2 გიორი 18.05.1994
ხორვატია – არგენტინა 0-0 ზაგრები 04.06.1994
ისრაელი – ხორვატია 0-4 თელავივი 17.08.1994
ესტონეთი – ხორვატია 0-2 ტალინი 04.09.1994
ხორვატია – ლიტვა 2-2 ზაგრები 09.10.1994
იტალი – ხორვატია 1-2 პალერმო 16.11.1994
ხორვატია – უკრაინა 4-0 ზაგრები 25.03.1995
ლიტვა – ხორვატია 0-0 ვილნიუსი 29.03.1995
ხორვატია – სლოვენია 2-0 ზაგრები 26.04.1995
უკრაინა – ხორვატია 1-0 კიევი 11.06.1995
ხორვატია – ესტონეთი 7-1 ზაგრები 03.09.1995

# იტალია

### კალიარი 0:0 იუვენტუსი

(25 000 მაყურებელი)

კალიარი: დიორი, პანკარო, პუშედუ, ვილა, ნაპოლი, დირიკანო, ბიზოლი, სანა, სილვა, ოლივეირა (ბრეშანი 69), მუცი

იუვენტუსი: პერუცი, პორინი, პესოტო, კონტე, ფერერა, ტორიჩელი, დი ლივიო (მაროკი 67, კარერა 85), დეშამპი, ვიალი (პადოვანო 79), დელპიერო, რავანელი.

გაფრთხილება: პანკარო, მუცი, დელ პიერო

### პარმა 3:0 ფიორენტინა

(27 660)

პარმა: ბუჩი, ბენარივო, მუსი (დიკიარა 46), სენსინი, კოუტუ, კანავარო, კრიპა, დ. ბაჯო (ბროლინი 70), სტოიჩკოვი (მელი 67), ძოლა, პინი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, ალ. ორლანდო (კოისი 46), პიაჩენტინი, ამორუზო, პადალინო, შვარცი, ბიჯიკა (რობიატი 46), ბატისტუტა, რუი კოშტა (მალუში 72), ბრაიანო

გოლი: სტოიჩკოვი (35), კრიპა (40), ბენარივო (65)

გაფრთხილება: დ. ბაჯო, მელი, შვარცი, ბაიანო

### პიაჩენცა 3:2 ბარი

(13 000)

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, მაკოპი, დი ფრანჩესკო, როსინი, ლუჩი, ტუვინი, ა. კარბონე (მორეტი73), კაჩა, კორინი (მ. კონტე 91), აროვანი

ბარი: ფონტანა, მონტანარი (პ. ანონი 21), მანგონე, მანიგეტი, სალა, რიჩი, არენტე (გაუტიერი 46), პედონე, ანდერსონი, სავიერი (გუერერო 74), პროტი

გოლი: კაჩა (42,48), პროვანი (51), პროტი (83), პედონე (90)

გაძევება: მანიგეტი (73)

### ნაპოლი 2:1 ინტერი

(50 000)

ნაპოლი: ტალიალატელა, პარი, ტარანტინო, ბორდინი, აიალა (ბალოდინი 48), კრუსი, ბუზო, პეკია, აგოსტინი, პიცი (ბოგოსიანი 81), ინზრიანი (დი ნაპოლი 85),

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კარლოსი, ბერტი (ფესტა 11), მ. პაგანინი, ფრეზი, ბიანკი (განცი 59), ინსი, ფონტონალი, ბ. კარბონე, დელ ანიო (დელვეკიო 71)

გოლი: ინზრიანი (32), ფონტონალი (46), ბუზო (65)

გაფრთხილება: პიცი, კარლოსი, განცი, დელვეკიო

### კრემონეზე 0:1 რომა

(10 000)

კრემონეზე: ტურჩი, გარცია, ა. ორლანდო, ჯანდებიაჯი, დალ ინია, ვერდელი, დე აგოსტინი (ფანტინი 70), პეროვიჩი (კრისტიანი 46), კენტონი, მასპერო (ფერარონი 46), ფლორიანჩიჩი

რომა: ჩერვონე, ლანა, კარბონი, სტატუტო, ალდაირი, პეტუცი, კაპიოლი, ბერეტა (მორიერო 22), ბრანკა (ჯანინი 66), დი ბიაჯო, ტოტი (ფონსეკა 59)

გოლი: კენტონი (68) საკუთარ კარში

გაფრთხილება: პეროვიჩი, კლისტიანი, ჩერვონე, ალდაირი, კარბონი

გაძევება: მორიერო, ტენტონი, ჯანდებიაჯი, მაცონე (რომას მწვრთნელი)

### ტორინო 1:1 სამპდორია

(20 000)

ტორინო: ბიატო, ანგლომა, მილანეზე, მორო, მალტალიატი, კრავერო, ბაჩი, კრისტალინი (ბერნარდინი 60), პაკანი, პელე (ფალკონე 87), რიციტელი (დიონიჯი 64)

სამპდორია: პაგოტა, ბალერი, საკეტი, ინვერნიცი, მანინი, ფრანჩესკეტი, კარემბუ, ზეედორფი, მანიერო (ევანი 71), მანჩინი, ბელუჩი (სალსანო 89)

გოლი: მანიერო (57), რიციტელი (63)

გაფრთხილება: საკეტი, ბალერი, ინვერნეცი

### ვიჩენცა 2:1 პადოვა

(15 391)

ვიჩენცა: მონდინი, სარტორი (მენდესი 46), პისტონე, დი კარლო, ლოპესი, ბიორკლუნდი, ბრიასკი, მ. როსი (ვივიანი 76), მურჯიტა, მაინი, გასპარინი (ოტერო 60)

პადოვა: ბონაიუტი, სკონციანო, კოპოლა, ჯამპიეტრო, კუიკი, ლალასი, კრეეკე, ნუნციატა, ამორუზო, ლონგი (ფიორე 60), ჩოჩი (გალდერიზი 44)

გოლი: მურჯიტა (14), ამორუზო (28), ოტერო (83)

გაფრთხილება: მენდესი, მ. როსი, ამორუზო, კოპოლა, კუიკი

### მილანი 3:0 ატალანტა

(60 000)

მილანი: როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი (დონადონი 66), კოსტაკურტა, ბარეზი, ბობანი, დესაი, ვეა, რ. ბაჯო (დი კანიო 89), სიმონე (ერანიო 66)

ატალანტა: ფერონი, ა. პაგანინი, ლუპი, სალვატორი (ტოვალიერი 68), ვალენტინი, ძანტი (სგრო 46), ერერა, ბონაჩინა, ვიერი, მორდეო (გალო 78), ფორტუნატო

გოლი: დესაი (25), რ. ბაჯო (87), დი კანიო (90)

გაფრთხილება: ბარეზი, ვიერი, მორდეო

### ლაციო 2:2 უდინეზე

(55 000)

ლაციო: მარკეჯანი, რომანო, გოტარდი (ბერგოდი 74), დი მატეო, შამოტი, ნეგრო, რამბაუდი (პიოვანელი 83), ფუზერი, კაზირაგი, ვინტერი, სინიორი

უდინეზე: ბატისტინი, ბერტოტო (კოზმინსკი 57), სერჯო, ამეტრანო, კალორი, ბია, როსიტო, დეზიდერი (პელვეგი 46), ბიერპოდი, სტროპა, პოჯი (მარინო 61)

გოლი: სინიორი (13 პ), ფუზერი (42), პელვეგი (72), ბერპოდი (87)

გაფრთხილება: რამბაუდი, გოტარდი, დი მატეო, კალორი, ბატისტინი

გაძევება: კაზირაგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-3 | 12 |
| იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-1 | 10 |
| ნაპოლი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-3 | 10 |
| ლაციო | 4 | 2 | 2 | 0 | 10-6 | 8 |
| უდინეზე | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| პარმა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| სამპდორია | 4 | 1 | 3 | 0 | 4-2 | 6 |
| ფიორენტინა | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| ვიჩენცა | 4 | 2 | 0 | 2 | 3-3 | 6 |
| ტორინო | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| რომა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| ინტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| ატალანტა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| პიაჩენცა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-10 | 4 |
| ბარი | 4 | 0 | 2 | 2 | 7-10 | 2 |
| პადოვა | 4 | 0 | 1 | 3 | 3-7 | 1 |
| კრემონეზე | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| კალიარი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-5 | 1 |

ბომბარდირები: პროტი (ბარი) — 6, სინიორი (ლაციო), ბერპოფი (უდინეზე) — 4-4,

### სერია B

ბრეშია — სალერნიტანა 1:0 (საურინი 45)

ჩეზენა — პერუჯა 2:0 (ბიცარი 57, პ უვნერი 82)

კოზენცა — კიევო 1:3 (ლუკარელი 84; ფრანკი 49, ანტონიოლი 51, ჯორდანო 77)

ფ. ანდრია — ანკონა 1:2 (მაზოლინი 20; არტისტიკო 52,61)

ჯენოა — რეჯანა 1:1 (ტორენტე 14; პაჩი 76)

პესკარა — ვენეცია 2:1 (დი ჯანატალე 27, პალადინი 69; ძირონელი 26)

პისტოიზე — აველინო 1:1 (მონტრონე 34; რუიზო 21)

ვერონა — ბოლონია 1:1 (ბარონი 31; სავი 91)

ფოჯა — რეჯინა 0:0

ლუკეზე — პალერმო 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეშია | 5 | 3 | 2 | 0 | 8-4 | 11 |
| ვერონა | 5 | 3 | 1 | 1 | 7-2 | 10 |
| ბოლონია | 5 | 2 | 3 | 0 | 5-2 | 9 |
| ფოჯა | 5 | 2 | 3 | 0 | 3-1 | 9 |
| ჯენოა | 5 | 2 | 2 | 1 | 12-6 | 8 |
| სალერნიტანა | 5 | 2 | 2 | 1 | 4-1 | 8 |
| პისტოიზე | 5 | 2 | 1 | 2 | 6-4 | 7 |
| კიევო | 5 | 1 | 4 | 0 | 5-3 | 7 |
| ჩეზენა | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| პალერმო | 5 | 1 | 4 | 0 | 4-3 | 7 |
| ანკონა | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| ლუკეზე | 5 | 1 | 3 | 1 | 3-3 | 6 |
| პესკარა | 5 | 1 | 3 | 1 | 4-5 | 6 |
| აველინო | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| ფ. ანდრია | 5 | 1 | 1 | 3 | 8-10 | 4 |
| კოზენცა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| რეჯინა | 5 | 0 | 4 | 1 | 4-11 | 4 |
| პერუჯა | 5 | 0 | 3 | 2 | 3-6 | 3 |
| რეჯანა | 5 | 0 | 3 | 2 | 2-6 | 3 |
| ვენეცია | 5 | 1 | 0 | 4 | 2-8 | 3 |

ბომბარდირები: მანტელა (ჯენოა), არტისტიკო (ანკონა) — 5-5

# სიასამურის სკანდალი!

თურმე ესპანელი მსაჯი ანტონიო ლოპეს ნიეტო უკრაინის დედაქალაქში სამი წლის წინაც ყოფილა. მაშინ ნიეტო კიევის „დინამოსა" და ავსტრიის „რაპიდის" თამაშზე თანამსაჯად მდგარა. ახლა, 13 სექტემბრის შეხვედრის (ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის მატჩი „დინამო" — „პანათინაიკოსი") წასაძღოლად ჩასულ, კიევურ მასპინძლობაში გამოცდილ ესპანელ არბიტრს, როგორც ძველ ნაცნობებთან ურთიერთობისას ეგების, პირდაპირ უთქვამს, ვიცი, უკრაინაში ბეწვეული დახავლეთ ევროპასთან შედარებით იაფია და კარგი იქნება, ცოლისა და დედისთვის სიასამურის ქურქებს თუ მაყიდინებთო. მასპინძლები დაფაცურებულან და სინიორ ნიეტო თანამსაჯებითურთ მიუყვანიათ ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში, სადაც ყველასათვის ქურქები შეურჩევიათ და ქუდებიც ზედ დაუყოლებიათ. მთავარი მსაჯის მეუღლეობა (ქურქის მიზომებაში) თარჯიმან ქალს გაუწევია. მოგვიანებით, სასტუმრო „დნეპრში" მიბრუნებულ ოფიციალურ პირთ სავაჭრო ცენტრის ჩეკი მოუკითხავთ, გაჩვენეთ, რამდენი უნდა გადავიხადოთო და როდესაც თანხა უნახავთ, აღშფოთებულან, ეს ნაღდად ქრთამის შემოთავაზებაა, არც თქვენი ქურქები გვინდა და არც უბრალო სუვენირებიო.

ასეთია ვერსია, რომელიც, როგორც ჩანს, ორივე მხრის მონაყოლის ნაზავს წარმოადგენს. კერძოდ, ის, რომ ანტონიო ლოპეს ნიეტომ თავად დაიწყო სიასამურის ქურქებზე საუბარი და მასპინძლებს, მაყიდინეთო სთხოვა, კიეველთა ვარიანტიდანაა, ხოლო ჩეკის ნახვაზე ალბათ მეტისმეტად მცირე თანხით აღშფოთება ესპანელის უეფაში მონათხრობს წარმოადგენს. ცხადია, სრულიად შესაძლებელია, ყველაფერი ზუსტად ასეც ყოფილიყო. ვის მხარესაა სიმართლე, ამაზე ყველა თავისი მსოფლმხედველობის და გამოცდილების მიხედვით იმსჯელებს. ქურქებს გარდა საუბარია 30 ათას დოლარზეც, რომლის ისტორიაც ჩვენთვის ჯერ უცნობია. უეფამ, რომელსაც ზემოხსენებულ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის, ცალსახად არბიტრის მხარე დაიჭირა, სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე იგი ალაპარაკა, კიევის „დინამოს" წარმომადგენელი კი აზლოც არ მიიკარა. შეგახსენებთ, რომ კლუბი მიმდინარე გათამაშებიდანაც გააძევეს და კიდევ ორი წლით მისცეს დისკვალიფიკაცია. „დინამოს" საბჭოს ორი წევრი იგორ სურკისი (კლუბის პრეზიდენტის გრიგორი სურკისის ძმა) და ვასილი ბაბიიჩუკი მსოფლიო ფეხბურთიდან სამუდამოდ გააძევეს. არ გაჭრა აპელაციამაც, ამგვარად უკრაინის ჩემპიონებს თბილისის „დინამოს" მსგავსად სხვადასხვა ინსტანციებში სირბილი და დისკვალიფიკაციის შესამცირებლად ჩალიჩი მოუწევთ.

ჩემპიონთა ლიგაში კი კიეველთა ნაცვლად დანიის „ოლბორგი" იასპარეზებს.

პაპუნა ქედია

## შოტლანდია

IV ტური. ფალკირკი — მოზერველი 0:0, ჰართსი — სელტიკი 0:4, კილმარნოკი — აბერდინი 1:2, რეით როვერსი — პარტიკ თისლი 3:1, რეინჯერსი — ჰიბერნიანი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-3 | 10 |
| რეინჯერსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-1 | 9 |
| ჰიბერნიანი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-2 | 8 |
| რეით როვერსი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| პარტიკ თისლი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| მოზერველი | 4 | 0 | 4 | 0 | 3-3 | 4 |
| აბერდინი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| ჰართსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| ფალკირკი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| კილმარნოკი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-8 | 0 |

## გერმანია

VII ტური. კიოლნი — ფრაიბურგი 1:1, ვერდერი — კაიზერსლაუტერნი 1:1, ბაიერნი — ლევერკუზენი 1:0, აინტრახტი — დორტმუნდი 3:4, შტუტგარტი — მიონხენგლადბახი 5:0, ჰამბურგი — კარლსრუე 0:0, დიუსელდორფი — ურდინგენი 1:0, შალკე 04 — მიუნხენი 1:1, ჰანზა — ზანკტ პაული 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 7 | 7 | 0 | 0 | 19-6 | 21 |
| დორტმუნდი | 7 | 4 | 2 | 1 | 19-12 | 14 |
| ლევერკუზენი | 7 | 3 | 3 | 1 | 10-5 | 12 |
| ვერდერი | 7 | 3 | 3 | 1 | 9-8 | 12 |
| ჰანზა | 7 | 3 | 2 | 2 | 14-11 | 11 |
| შალკე 04 | 7 | 2 | 4 | 1 | 8-8 | 10 |
| ზანკტ პაული | 7 | 3 | 1 | 3 | 11-12 | 10 |
| გლადბახი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-14 | 10 |
| შტუტგარტი | 7 | 2 | 3 | 2 | 14-13 | 9 |
| აინტრახტი | 7 | 2 | 2 | 3 | 13-8 | 8 |
| დიუსელდორფი | 7 | 1 | 5 | 1 | 9-10 | 8 |
| კარლსრუე | 7 | 2 | 2 | 3 | 9-12 | 8 |
| ურდინგენი | 7 | 1 | 4 | 2 | 5-5 | 7 |
| კიოლნი | 7 | 1 | 3 | 3 | 6-8 | 6 |
| კაიზერსლაუტ. | 7 | 1 | 3 | 3 | 9-13 | 6 |
| ჰამბურგი | 7 | 0 | 5 | 2 | 11-12 | 5 |
| მიუნხენი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-15 | 5 |
| ფრაიბურგი | 7 | 1 | 1 | 5 | 4-10 | 4 |

## ინგლისი

VII ტური. არსენალი — საუთჰემპტონი 4:2, ასტონ ვილა — ნოტინგემ ფორესტი 1:1, ბლექბერნ როვერსი — ქოვენთრი სიტი 5:1, ლივერპული — ბოლტონი 5:2, მანჩესტერ სიტი — მიდლსბრო 0:1, ნიუკასლ იუნაიტედი — ჩელსი 2:0, შეფილდ უენსდეი — მანჩესტერ იუნაიტედი 0:0, ვესტ ჰემი — ევერტონი 2:1, უიმბლდონი — ლიდს იუნაიტედი 2:4, ქვინზ პარკ რეინჯერსი — ტოტენჰემ ჰოთსპური წუხელ ღამით გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 7 | 6 | 0 | 1 | 14-3 | 18 |
| მანჩესტერ იუნ. | 7 | 5 | 1 | 1 | 14-8 | 16 |
| ლივერპული | 7 | 5 | 0 | 2 | 13-5 | 15 |
| არსენალი | 7 | 4 | 3 | 0 | 10-4 | 15 |
| ასტონ ვილა | 7 | 4 | 2 | 1 | 9-4 | 14 |
| ლიდსი | 7 | 4 | 0 | 3 | 12-9 | 12 |
| მიდლსბრო | 7 | 3 | 3 | 1 | 7-4 | 12 |
| ნოტინგემი | 7 | 2 | 5 | 0 | 11-9 | 11 |
| ჩელსი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-7 | 9 |
| უიმბლდონი | 7 | 3 | 0 | 4 | 12-13 | 9 |
| ტოტენჰემი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| შეფილდი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-9 | 8 |
| ბლექბერნი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-11 | 7 |
| ევერტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-10 | 7 |
| ქ.პ.რ. | 6 | 2 | 0 | 4 | 4-9 | 6 |
| ქოვენთრი | 7 | 1 | 3 | 3 | 7-14 | 6 |
| ვესტ ჰემი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-11 | 5 |
| საუთჰემპტონი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-14 | 5 |
| ბოლტონი | 7 | 1 | 1 | 5 | 8-17 | 4 |
| მანჩესტერ სიტი | 7 | 0 | 1 | 6 | 3-11 | 1 |

## თურქეთი

VI ტური. გალათასარაი — სამსუნსფორი 1:0, ქოჩაელისფორი — ფენერბაჰჩე 0:1, გაზიანთეპსფორი — ესკიშეჰირსფორი 3:0, ანკარაგიუჯიუ — ვანსფორი 0:0, ბეშიქთაში — ისტანბულსფორი 5:2, ბურსასფორი — კარშიაკა 3:1, კაიზერისფორი — გენჩლერბირლიგი 2:2, ალთაი — ანტალიასფორი 1:2, ტრაბზონსფორი — დენიზლისფორი 3:0 (პირველი გოლი შოთას პასით არჩილ არველაძემ გაიტანა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 6 | 5 | 0 | 1 | 9-3 | 15 |
| ტრაბზონსფორი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-3 | 14 |
| ფენერბაჰჩე | 6 | 4 | 2 | 0 | 12-4 | 14 |
| ბეშიქთაში | 6 | 3 | 2 | 1 | 16-10 | 11 |
| ანტალიასფორი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-10 | 10 |
| ესკიშეჰირსფ. | 6 | 3 | 0 | 3 | 10-12 | 9 |
| კარშიაკა | 6 | 3 | 0 | 3 | 8-12 | 9 |
| ბურსასფორი | 6 | 2 | 2 | 2 | 10-11 | 8 |
| დენიზლისფორი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-7 | 8 |
| გენჩლერბირლ. | 6 | 1 | 4 | 1 | 8-8 | 7 |
| ვანსფორი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-5 | 7 |
| სამსუნსფორი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-10 | 7 |
| ანკარაგიუჯიუ | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 7 |
| გაზიანთეპსფ. | 6 | 1 | 3 | 2 | 6-4 | 6 |
| ქოჩაელისფორი | 6 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 6 |
| ალთაი | 6 | 2 | 0 | 4 | 7-10 | 6 |
| კაიზერისფორი | 6 | 0 | 3 | 3 | 4-8 | 3 |
| ისტანბულსფ. | 6 | 0 | 1 | 5 | 6-15 | 1 |

## ესპანეთი

IV ტური. სანტანდერი — სევილია 1:1, ბეტისი — რეალი 0:0, ბარსელონა — რაიო ვალეკანო 2:0, ოვიედო — ატლეტიკი 0:0, ვალენსია — სარაგოსა 0:0, კომპოსტელა — მერიდა 1:0, სლამანკა — ვალიადოლიდი 0:0, ტენერიფე — ლა კორუნია 1:1, ალბასეტე — სელტა 4:0, რეალ სოსიედადი — ესპანიოლი 0:1, ატლეტიკო — ხიხონი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 4 | 4 | 0 | 0 | 12-1 | 12 |
| ესპანიოლი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-2 | 12 |
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 |
| კომპოსტელა | 4 | 3 | 1 | 0 | 6-0 | 10 |
| ბეტისი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| ატლეტიკი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| ოვიედო | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| ხიხონი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| ლა კორუნია | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| ვალენსია | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| ალბასეტე | 4 | 2 | 0 | 2 | 7-6 | 6 |
| რეალი | 4 | 1 | 1 | 2 | 8-6 | 4 |
| სევილია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| სელტა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| სარაგოსა | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| რეალ სოსიედ. | 4 | 1 | 0 | 3 | 6-5 | 3 |
| ტენერიფე | 4 | 0 | 2 | 2 | 4-7 | 2 |
| მერიდა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| ვალიადოლიდი | 4 | 0 | 2 | 2 | 0-3 | 2 |
| სალამანკა | 4 | 0 | 1 | 3 | 1-6 | 1 |
| სანტანდერი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-13 | 1 |
| რაიო ვალეკანო | 4 | 0 | 0 | 4 | 2-11 | 0 |

## ავსტრია

IX ტური. რაპიდი — კაზინო 3:1, გრაცერი — ადმირა ვაკერი 1:1, ტიროლი — აუსტრია 3:1, ლინცერი — შტურმი 2:1, ფორვარტსი — რიედი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 9 | 6 | 2 | 1 | 15-7 | 20 |
| ლინცერი | 9 | 4 | 4 | 1 | 10-6 | 16 |
| შტურმი | 9 | 5 | 0 | 4 | 19-12 | 15 |
| კაზინო | 9 | 4 | 3 | 2 | 14-12 | 15 |
| გრაცერი | 9 | 4 | 2 | 3 | 17-13 | 14 |
| ტიროლი | 9 | 4 | 1 | 4 | 16-13 | 13 |
| რიედი | 9 | 3 | 3 | 3 | 14-15 | 12 |
| აუსტრია | 9 | 3 | 2 | 4 | 12-10 | 11 |
| ადმირა ვაკერი | 9 | 2 | 3 | 4 | 10-14 | 9 |
| ფორვარტსი | 9 | 0 | 0 | 9 | 3-24 | 0 |

## საფრანგეთი

X ტური. ნანტი — ლანსი 1:1, ოსერი — რენი 2:1, ბორდო — მონპელიე 3:0, ლილი — ლე ავრი 2:0, ბასტია — კანი 2:1, პ.ს.ჟ. — სტრასბური 2:0, სენტ ეტიენი — მონაკო 2:4, ნიცა — ლიონი 1:0, გენგამი — გენიონი 0:0, მარტიგი — მეცი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პ.ს.ჟ. | 10 | 7 | 2 | 1 | 20-7 | 23 |
| მეცი | 10 | 6 | 4 | 0 | 10-5 | 22 |
| ოსერი | 10 | 6 | 1 | 3 | 20-9 | 19 |
| ლანსი | 10 | 5 | 4 | 1 | 14-8 | 19 |
| გენგამი | 10 | 4 | 5 | 1 | 8-5 | 17 |
| ბორდო | 10 | 5 | 1 | 4 | 15-11 | 16 |
| ბასტია | 10 | 5 | 1 | 4 | 16-14 | 16 |
| მონაკო | 10 | 5 | 1 | 4 | 16-15 | 16 |
| მონპელიე | 10 | 4 | 2 | 4 | 12-12 | 14 |
| სტრასბური | 10 | 3 | 4 | 3 | 14-11 | 13 |
| ნანტი | 10 | 3 | 4 | 3 | 11-10 | 13 |
| ნიცა | 10 | 3 | 4 | 3 | 9-10 | 13 |
| სენტ ეტიენი | 10 | 3 | 3 | 4 | 15-15 | 12 |
| ლე ავრი | 10 | 3 | 2 | 5 | 5-16 | 11 |
| რენი | 10 | 3 | 1 | 6 | 10-17 | 10 |
| გენიონი | 10 | 2 | 4 | 4 | 9-16 | 10 |
| მარტიგი | 10 | 3 | 1 | 6 | 7-14 | 10 |
| ლიონი | 10 | 2 | 3 | 5 | 10-14 | 9 |
| კანი | 10 | 3 | 0 | 7 | 14-19 | 9 |
| ლილი | 10 | 1 | 2 | 7 | 7-16 | 5 |

## პოლონეთი

IX ტური. სიარკა — შლიონსკი 0:0, ლეგია — ამიცა 2:0, ლეხი — რაკოვი 1:2, ზაგლაბიე — ლ.კ.ს. 1:0, სოკოლი — გურნიკი 1:2, პუტნიკი — პოგონი 2:0, გ.კ.ს. — ბელხატოვი 3:1, სტალი — ოლიმპია 2:1, ვიძევი — სტომილი (გადაიდო 11 ნოემბრისთვის)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 9 | 8 | 0 | 1 | 23-8 | 24 |
| ვიძევი | 8 | 7 | 1 | 0 | 20-3 | 22 |
| სტომილი | 8 | 5 | 1 | 2 | 10-7 | 16 |
| პოგონი | 9 | 5 | 0 | 4 | 12-12 | 15 |
| გ.კ.ს. | 8 | 4 | 2 | 2 | 11-7 | 14 |
| ოლიმპია | 8 | 4 | 1 | 3 | 13-10 | 13 |
| ზაგლებიე | 9 | 3 | 3 | 3 | 11-9 | 12 |
| ამიცა | 9 | 4 | 0 | 5 | 10-12 | 12 |
| პუტნიკი | 9 | 4 | 0 | 5 | 15-20 | 12 |
| სტალი | 9 | 4 | 0 | 5 | 12-18 | 12 |
| გურნიკი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-5 | 11 |
| ლეხი | 9 | 3 | 2 | 4 | 15-12 | 11 |
| რაკოვი | 9 | 3 | 1 | 5 | 9-12 | 10 |
| ლ.კ.ს. | 9 | 2 | 3 | 4 | 8-9 | 9 |
| სოკოლი | 9 | 2 | 2 | 5 | 11-21 | 8 |
| შლიონსკი | 9 | 1 | 4 | 4 | 7-10 | 7 |
| ბელხატოვი | 9 | 2 | 1 | 6 | 10-14 | 7 |
| სიარკა | 9 | 0 | 5 | 4 | 5-12 | 5 |

## შვეიცარია

გამოტოვებული შეხვედრები. გრასჰოპერი — არაუ 2:1, სიონი — იანგ ბოიზი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 10 | 8 | 1 | 1 | 23-9 | 25 |
| სიონი | 11 | 7 | 1 | 3 | 18-4 | 22 |
| ლუცერნი | 11 | 6 | 2 | 3 | 19-5 | 20 |
| ქსამაქსი | 11 | 6 | 1 | 4 | 20-18 | 19 |
| არაუ | 11 | 4 | 1 | 6 | 17-17 | 13 |
| სენტ გალენი | 11 | 3 | 4 | 4 | 15-15 | 13 |
| ბაზელი | 11 | 4 | 1 | 6 | 12-12 | 13 |
| ლოზანა | 11 | 3 | 3 | 5 | 13-14 | 12 |
| ლუგანო | 10 | 3 | 3 | 4 | 12-17 | 12 |
| სერვეტი | 11 | 2 | 4 | 5 | 15-15 | 10 |
| იანგ ბოიზი | 11 | 2 | 5 | 4 | 7-15 | 11 |
| ციურიხი | 11 | 1 | 4 | 6 | 7-21 | 7 |

## პორტუგალია

V ტური. ბენფიკა — ბელენენსეში 1:0, სალგეირაში — ტირენსე 1:1, მარიტიმუ — გიმარაეში 4:0, უნიაუ — ეშტრელია ამადორა 2:1, ფარენსე — სპორტინგი 0:1, კამპომაიორენსე — ჟილ ვისენტე 2:0, ბრაგა — შავეში 1:0, ბოავიშტა — ლეცა 2:0, ფელგეირაში — პორტუ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-3 | 13 |
| ბოავიშტა | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| პორტუ | 5 | 4 | 1 | 0 | 8-2 | 13 |
| ბენფიკა | 4 | 3 | 1 | 0 | 4-1 | 10 |
| გიმარაეში | 5 | 3 | 1 | 1 | 6-5 | 10 |
| ბრაგა | 5 | 3 | 1 | 1 | 6-7 | 10 |
| მარიტიმუ | 5 | 3 | 0 | 2 | 12-5 | 9 |
| ტირენსე | 5 | 2 | 1 | 2 | 9-6 | 7 |
| ბელენენსეში | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| ფელგეირაში | 5 | 1 | 3 | 1 | 6-5 | 6 |
| ფარენსე | 5 | 2 | 0 | 3 | 5-4 | 6 |
| ეშტრელია ამად. | 5 | 2 | 0 | 3 | 5-5 | 6 |
| სალგეირაში | 4 | 1 | 2 | 1 | 6-4 | 5 |
| ლეცა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-9 | 4 |
| ჟილ ვისენტე | 5 | 1 | 0 | 4 | 3-8 | 3 |
| კამპომაიორენსე | 5 | 1 | 0 | 4 | 4-13 | 3 |
| უნიაუ ლეირა | 5 | 1 | 0 | 4 | 3-17 | 3 |
| შავეში | 5 | 0 | 2 | 3 | 6-10 | 2 |

# შინ და... გარეთ

## გერმანია გვეწვევა, სინი გათამაშდება, ვაკე შეუვალად რჩება, მსაჯები გარბიან

**საქართველოს პირველობა**

**დიდი ოთხეული**

20.IX. აგრარული უნივერსიტეტი

**თბილისი 13 — გუმარი 20**

მსაჯი მიშა ხარშილაძე

თბილისი — ლ: ჩაჩუა; გ, 2ს: ქავთარაშვილი

გუმარი — 2ლ: შ. მოდებაძე, ბუგიანიშვილი; 2გ, 2ს: შ. მოდებაძე

**ყოჩები 10 (10) — აია-ვეი 12 (0)**

მსაჯი ჯერ პაატა ნარიმანაშვილი, მერე ავთო ლიბრაძე

ყოჩები — ლ, გ, ს: ტეფნაძე

აია — 2ლ: ზვ. ლიპარტელიანი, —; გ

15 ტურის შემდეგ: აია 27 ქულა; გუმარი 23; თბილისი 14; ყოჩები 12

**შუა ექვსეული**

13.IX: გელათი 9 (3ს) — აზოტი 15 (2ლ, გ, ს); რაში — ლელო გადაიდო. 14.IX: აიეტი 13 (7) (ლ, გ, ს, ა) — დინამო 15 (8) (2ლ, გ, ს)

19.IX: აზოტი 61 (27) (11ლ, 3გ) — ლელო 7 (0) (ლ, გ); გელათი 30 (14) (3ლ, 3გ, 3ს) — აიეტი 5 (5) (ლ); რაშს წაგება მიესაჯა დინამოსთან

2 ტურის შემდეგ: აზოტი და დინამო 4-4 ქულა; გელათი 2; ლელო 0 (1 თამაშში); აიეტი 0; რაში -1 (1)

სექტემბრის პირველი სრული კვირის მიწურულს ლისაბონში წაიმუშავა სამოყვარულო რაგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) 54-ე კონგრესმა, რომელსაც დაესწრო ჩვენი რაგბის კავშირის ახალი პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე.

კონგრესს ფირა არ დაუშლია. იგი კვლავაც დარჩა „სამოყვარულოდ", უფრო სწორად კი — მეორეხარისხოვანი სარაგბო ქვეყნების გაერთიანებად.

რადგანაც ფირა შევიდა ირბ-ში, მის ალმასკომში უნდა მიევლინა დელეგატი. ამ თანამდებობაზე პრეტენზია ჰქონდათ ვიორელ მორარუს (რუმინეთი), ხოსე მარია ეპალსას (ესპანეთი), ჰანს ნორდგრენს (შვედეთი) და აბდელაზიზ ბულჯას (მაროკო). ფარული კენჭისყრით გაიმარჯვა მორარუმ.

გერმანიამ დაგვიდასტურა, რომ 15 ოქტომბერს მისი გუნდი ნამდვილად გვეწვევა. თამაში „დინამოს" სტადიონზე რომ უნდა გაიმართოს, თითქმის შეთანხმებულია სათანადო ორგანოებთან. ნაკრების „პუმის" ფორმის ნაწილი ჩამოსულია, ნაწილი კი გზაშია. გუნდის ახალმა მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ თანაშემწეებად მიიწვია ცნობილი მწვრთნელი დავით კილასონია და ცნობილი მორკინალი თამაზ ხუადე. 1993-94 წლებში ლატვიასთან ჩაშლილ თამაშში უსამართლოდ მოსჯილი წაგება გაგვიუქმეს — ფირა ამიერიდან ჩაწერს თავის საბუთებში, რომ „მატჩი არ გამართულა".

ამით თითქმის ამოიწურება ჩვენი რაგბის ბოლოდროინდელი სიკეთე. სხვაფრივ ცუდადაა საქმე: ვაკის სტადიონზე მორაგბეებს ისევ არ უშვებენ, გუნდები კი კვლავაც ტუქსავენ მსაჯებს.

რკინიგზის ფეხბურთის მამები არაფერს თმობენ: სამი პატივცემული თანამდებობის პირი ერთმანეთს აბრალებს, აი, მისი აზრია, სტადიონზე რაგბი აღარ უნდა გაიმართოსო. მრავალ მიზეზთა გამო ვერაფრით მოხერხდა ყველა მხარის ერთად თავმოყრა, რის გამოც წარსულში მუშა სტადიონი ლამისაა ნაკრძალად აქციონ ფეხბურთელებმა: აღარც მორაგბეებს ათამაშებენ, ვერც თავად თამაშობენ ჯერ, ვაკეში ვითომც წამოწყებული აღმშენებლობის კვალი კი ჩაუძიებლად ძნელი შესანიშნია.

რაგბის კავშირი იმედოვნებს, რომ ზვალ-ზეგ ყველაფერი მაინც სასიკეთოდ დასრულდება. ჩვენც ამის იმედადა ვართ, ვინაიდან 1 ოქტომბერს „ყოჩები" სინს უნდა შეეცილონ „გუმარს".

„ყოჩებმა" უკვე დაამარცხეს „გუმარი" 15:12, თუმც ერთი პირობა 0:12 აგებდნენ. მერე „ყოჩები" 10:0 უგებდნენ „აიას", მაგრამ ბოლოსღა წააგეს. ამავე დღეს თბილისის ორი გუნდის მატჩში ერთი პირობა ფრეც 13:13 ყოფილა, მაგრამ „გუმარმა" მაინც გაიმარჯვა.

ორივე მატჩი ძლიერ ქარში, მორაგბეთა გადასახლების ადგილზე — აგრარულ უნივერსიტეტში გაიმართა. იქ მოედნის დახაზვა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. „თბილისმა" და „გუმარმა" ქალაქურად მაინც წაითამაშეს, მერე „ყოჩებმა" „აიასთან" შეხვედრის წინ თურმე თავი იმართლეს, დახაზვას ვეღარ მოვასწრებთო, აი, წინადღით კი „რაში" მაგრად ვერ დაუდგა „დინამოს", რისთვისაც წაგება მიუსაჯეს.

გუნდების თანაბარუფლებიანობის დაუცველობა კვლავაც ჩვენი რაგბის ჭირია: ზოგს ყველაფერი გასდის, ზოგს კი ყველაფრისთვის სჯიან. ცხრილში გუნდი რაც უფრო წინაა, მისი მოთამაშეები მით უფრო ხმამაღლა ლანძღავენ მსაჯს. ვინც მეტად შეავიწროებს არბიტრს, მას გამარჯვების მეტი შანსი ექნება. მსაჯებიც ვეღარ ჰგუობენ უხამსობის მოძალებას და არათუ ტურებს შორის, გაგანია თამაშიდანაც გარბიან.

ამით ყველაა უკმაყოფილო, მეტადრე კი დიდი ოთხეულის მავანი გუნდი, რომლის მოსაწონი მსაჯი კავშირს არა ჰყავს. ამ გუნდს თურმე ისიც განუზრახავს, რომ შექმნას დამოუკიდებელი ასოციაცია, გადაიბიროს ათი (!) გუნდი და კავშირისგან დამოუკიდებლად გამართოს ჩემპიონატი. ძნელი სათქმელია, ეს განზრახვა რამდენად სერიოზულია, მაგრამ იმას კი ვფიქრობთ, მისი განხორციელების შემთხვევაში იგივე მოთამაშეები პატივისცემით განიმსჭვალონ მსაჯებისადმი, ესენი კი უცებ, ერთიორ თვეში მოგვიმრავლდნენ.

ზაზა ფხაკაძე

## სადაც კილასონია მივა, იქ რაგბიც გაჩაღდება

ცნობილი ვეტერანი მორაგბე და არანაკლებ მნიშვნელოვანი სარაგბო მოღვაწე დავით კილასონია ორი წლის წინათ თბილისიდან სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევს გადავიდა და საფერმერო მეურნეობას მიჰყო ხელი. ბატონ დავითს „რაგბის ჭია" აბა რას მოასვენებდა და უკვე სამ სოფელში ჩამოაყალიბა გუნდი, ახლახან კი უკვე მეორედ გამართა ბავშვთა ტურნირი.

ახლანდელი ასპარეზობა უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა მორაგბის თემურ სანიკიძის სახელობისა იყო. მასში 1983-84 წლებში დაბადებულმა მოზარდებმა იასპარეზეს.

ნოქალაქევსა და ლეძაძამეში ამ ასაკის თითქმის ყველა ქართული გუნდი ჩავიდა. ამის გამო, საქართველოს რაგბის კავშირმა ტურნირს ქვეყნის ჩემპიონატის სტატუსი მიანიჭა. რვა გუნდი ორ ქვეჯგუფად დაიყო. პირველში მოხვდნენ თბილისის „ლელო", „შევარდენი", „აკადემია" და ნოქალაქევის „ჯიხა". მეორეში — ქუთაისის „აია", ლეძაძამეს „ჯიხა", თბილისის „ორბელი" და „ყოჩები".

ჯგუფებში ყველა მატჩი მოიგეს და ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისელი და ნოქალაქეველი მორაგბეები. გაიმარჯვა „აიამ". მესამე ადგილზე გავიდა „ლელო", რომელმაც ლეძაძამელი თანატოლები დაამარცხა.

გამარჯვებულებსა და წარჩინებულ მოთამაშეებს გადაეცათ თემურ სანიკიძის სახელობის თასები, აგრეთვე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. პრიზები დაუწესებიათ სენაკის განათლების განყოფილებას, ხალიჩების კომბინატს და სპორტკომიტეტს.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ნოქალაქეველი ბაჩანა კოკაია აღიარეს. ბომბარდირი ქუთაისელი გვანცელაძე გახდა, ყველაზე ტექნიკური მოთამაშე — ლელოელი ბარკალაია, საუკეთესო შემბოჭველი — ლეძაძამელი ზარქუა.

ნუგზარ ჩაჩავა

## ტრანსვაალმა დაკარგა თასი: ოქლენდმა დაიბრუნა [illegible] ფრანგები «მოყვარულებად» რჩებიან. ენდრიუ კი [illegible]

| სამხრ. აფრიკის პროვინციათა პირველობა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ქარრის თასი** | | | | | | |
| X ტური. 23.IX: ჩრდ. ტრანსვაალი 47 — ალმ. კონცხი 10; ნარინჯი 41 — ტრანსვაალი 28 | | | | | | |
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| ნატალი | 8 | 6 | 1 | 1 | 227:195 | 13 |
| ჩრდ. ტრანსვაალ. | 9 | 6 | 1 | 2 | 274:153 | 13 |
| დას. კონცხი | 8 | 5 | 0 | 3 | 222:176 | 10 |
| ტრანსვაალი | 9 | 4 | 0 | 5 | 233:218 | 8 |
| ნარინჯი | 8 | 1 | 1 | 6 | 180:273 | 3 |
| ალმ. კონცხი | 8 | 1 | 1 | 6 | 127:254 | 3 |
| XI ტური. 30.IX: დას. კონცხი — ჩრდ. ტრანსვაალი; ალმ. კონცხი — ნარინჯი; ტრანსვაალი — ნატალი | | | | | | |
| ბოლო, XII ტური. 7.X: ნარინჯი — დას. კონცხი; ნატალი — ალმ. კონცხი | | | | | | |
| ფინალი — 14.X, პირველ ადგილზე გასული გუნდის მოედანზე | | | | | | |

ქარრის თასის ბოლო ორი ტურის შემდეგ გაირკვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონ ქვეყანას — სამხრეთ აფრიკას ახალი შინაური ჩემპიონი ეყოლება. თასის წინა ორი წლის მფლობელმა ტრანსვაალმა, ვისაც 13 მსოფლიო ჩემპიონი ჰყავს, ჯერ იყო და შინ, იოჰანესბურგში 12:18 წააგო ბევრად უფრო სახელოვან ჩრდ. ტრანსვაალთან, მერე კი — სტუმრად, მაჩანჩალა ნარინჯთან, რომელიც, ეტყობა, სეზონის ბოლოს ათამაშდა და ღირსეულად აპირებს თავისი საუკუნოვანი იუბილეს აღნიშვნას.

ტრანსვაალს ნარინჯთან რომ არც წაეგო, მაინც ფინალის მიღმა დარჩებოდა, ვინაიდან ჩრდ. ტრანსვაალი შინ, პრეტორიაში იოლად გაუსწორდა მეორე მაჩანჩალას — ალმ. კონცხს. ახლა პრეტორიელი „ლურჯი ხარები" ქეიფთაუნს უნდა ეწვიონ. ფინალში რომ მოხვდეს, იქაურ დას. კონცხს ამა და შემდეგი თამაშის მოგება უსიკვდილოდ სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში თასისათვის 14 ოქტომბერს ერთმანეთს ნატალი და ჩრდ. ტრანსვაალი შეეჯიბრებიან. მასპინძელი წრიულ შეჯიბრში პირველ ადგილზე გასული გუნდი იქნება.

სხვაფრივ, ბოლო ორი კვირის მანძილზე სამხრეთ აფრიკაში ორი საგულისხმო ამბავიც მოხდა. ერთი, რომ ნაკრებისა და ტრანსვაალის მეორეხაზელ კობუს ვიზეს, ვისაც უელსელი დერვინ ჯოუნზის დანოკაუტებისათვის ერთი თვით აუკრძალეს თამაში, დამატებით 13-ათას-დოლარიანი ჯარიმაც დააკისრეს. ეს მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც თამაშის გაპროფესიულების წყალობით რაგბის კავშირმა კონტრაქტები გაუფორმა ნაკრების წევრებს.

მეორე სიახლე ერთგვარად კურიოზულია: ნაკრებისა და ნატალის ახალგაზრდა შუამარბი პიტერ მულერი, ვინაც „ქურციკის" 17 კეპი კი მოიხვეჭა, მაგრამ კისრის ტრავმის გამო ვერ ითამაშა მსოფლიო თასზე, გადავიდა ლიგის რაგბში — მან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი სიდნეის „პენრით პანთერსთან", რომელიც გაისად ახალ, რუპერტ მერდოქისეულ „სუპერ-ლიგაში" თამაშს აპირებს.

მულერის არჩევანი ცოტა გაუგებარია. რაგბის გაპროფესიულების შემდეგ ეგონათ, ლიგაში ამიერიდან აღარავინ გადავა ფიჯელ-ტონგელ-სამოელების გარდა, რომლებიც ღარიბი ქვეყნების შვილები არიან და ფულს ეხარბებიანო.

მულერმა, ეტყობა, რაგბზე ცოტა გული აიყარა. რაგბის კავშირმაც ნაკრების ამჟამინდელ 28 წევრს ბევრად უფრო სარფიანი კონტრაქტები გაუფორმა, ვიდრე გუნდს გარეშე დარჩენილებს. ესენი, უკეთეს შემთხვევაში, თავის პროვინციასთან თუ დადებენ კონტრაქტს.

მულერმა დურბანში რაგბის თამაშს სიდნეიში ლიგის თამაში ამჯობინა. იგი, ფაქტობრივად, არაფერს კარგავს: გასამრჯელოც მეტი ექნება, სამხრეთი აფრიკის სახელითაც ითამაშებს საიუბილეო მსოფლიო თასზე, იქეთა შაბათს „უემბლიზე" რომ იხსნება, ხოლო თუ ლიგაში ვერ ივარგებს, მშვენივრად უწყის, რომ დაუბრკოლებლივ შეეძლება რაგბში დაბრუნება.

საქმე ისაა, რომ ამ კვირის ბოლოს ტოკიოში გაიმართება რაგბის სართაშორისო საბჭოს (ირბ) სხდომა, რომელზეც ლიგაში გადასულებს უეჭველად სამუდამო და უპირობო ამნისტიას გამოუცხადებენ. ირბ-მა იცის, რომ ახლა, როცა რაგბიცა და ლიგაც პროფესიული თამაშებია, ერთიდან მეორეში გადასვლის ანაც ორივეში პარალელურად მონაწილეობის შეზღუდვა დემოკრატიული სამყაროს ნებისმიერი სასამართლოს მიერ საქმიანობის თავისუფლად არჩევის პრინციპის შელახვად მიიჩნევა. საკმარისია მავანმა ირბ-ს უჩივლოს, რომ დავას უთუოდ მოუგებს.

მოკლედ, მულერის მაგალითმა შეიძლება ბევრი ააცუნდრუკოს. მაშინ რაგბსა და ლიგას შორის უეჭველად დიდი გადასვლა-გადმოსვლა გაჩაღდება, რაც ამ აქამდე მოშუღარ თამაშებს უფრო დააახლოებს.

ახალი ზელანდიის პროვინციათა პირველობაზე მთლად აიშვა შარშანდელმა ჩემპიონმა ოქლენდმა. 16 სექტემბერს მან 59:24 დაამარცხა საგრაფოები, რომელიც ჯონა ლომუს გუნდია და მანამდე ლიდერობდა, 23 სექტემბერს კი სტუმრად, ქრაისთჩერჩის „ლანკასტერ პარკზე" 38 ათასი იქაური ქომაგის თვალწინ დაანგრია ქენთებრი 35:0 და გარდამავალი „რანფერლის ფარი" დაიბრუნა. ოქლენდს ამ ჯილდოს დაცვა ამ შაბათსვე მოუწევს — ვაიქათოს მასპინძლობს. ამ ორი წლის წინ სწორედ რომ ვაიქათომ წაართვა ფარი ოქლენდს, მაგრამ ერთი წლის თავზე თავად დამარცხდა ქენთებრისთან.

ოქლენდი ფარის პირველი მფლობელი იყო: 1902 წელს, დაწესებისას მიენიჭა იმ სეზონში საუკეთესო შედეგისათვის. მერე ფარმა ხელიდან ხელში გადასვლა იწყო. მისი უწყვეტად ფლობის რეკორდიც ოქლენდს ეკუთვნის — 1985-93 წლებში ზედიზედ 61-ჯერ (!) დაუცავს ფარი.

ზელანდიელები სანოემბროდ საფრანგეთს ტურნეზე უნდა ეწვიონ. ქვეყნის რაგბის კავშირი ყოველნაირად ცდილობს, პოლიტიკაში არ ჩაერიოს, თუმც ფრანგების მიერ მორორუას ატოლზე ბირთვული აფეთქებების განახლება მასაც აშფოთებს. წინა კვირაში კავშირის თავკაცმა რიჩი გაიმ განაცხადა, თუ ცალკეულ მოთამაშეებს სურთ, საფრანგეთში პირადად გამოხატონ პროტესტი, ოღონდაც თავიანთ მორაგბეობას ნუ მოიშველიებენო. მანამდე „ოლ ბლექსის" თავხოტორა მორკინალ ჯო შ კრონფელდს, რომელიც ტანკისტის ჩაფხუტით თამაშობს ხოლმე, სასტიკად აუკრძალეს თავსაბურავზე საპროტესტო ლოზუნგის დაწერა.

ფრანგები ზელანდიელებს უთუოდ გადახალისებული დაუხვდებიან. 16 სექტემბერს მათი რაგბის ფედერაციის ახალგაზრდა და ენერგიული პრეზიდენტი ბერნარ ლაპასე კიდევ ოთხი წლით აირჩიეს პოსტზე. მაშინ ითქვა, რომ ნაკრების მწვრთნელი პიერ ბერბიზიე, ვინაც ლაპასეს დიქტატს ვერ ჰგუობდა, გადადგებოდა. მართლაც, 19 სექტემბერს მწვრთნელმა პრეს-კონფერენცია გამართა და განზრახვა გამოაცხადა, ლაპასემ კი იმავე დღეს „მამლების" ახალ მოძღვრად საზოგადოებას წარუდგინა ჟან-კლოდ სკრელა, რომელიც ნაკრებში ბერბიზიეზე ადრე, 1970-იან წლებში თამაშობდა ფრთის მორკინალად.

ამ მოვლენებამდე ერთი კვირით ადრე ლაპასემ საჯაროდ გამოაცხადა, რომ ფრანგული რაგბი არასოდეს გახდება მთლად პროფესიული. მართალია, მასში ჩაბმულ ხალხს მიეცემათ გასამრჯელო, მაგრამ არც კავშირი და არც კლუბები თურმე არასოდეს შეიქნებიან მოთამაშეთა და მწვრთნელთა დამქირავებლები. ასე რომ მოვიქცეთ, მთელს ჩვენს სარაგბო კულტურულ მემკვიდრეობაზე ხელი უნდა ავიღოთ, თამაშის სული კი უთუოდ დაგვეღუპებაო, — უთქვამს ლაპასეს.

მართლაც, როგორც ვარაუდობდნენ, ირბ-ის მიერ პროფესიონალიზმის ლეგალიზაციას ფრანგებისთვის არა შეუცვლია რა. რაგბში მონაწილეობისთვის ისინი აქამდეც ფულს იღებდნენ, რის გამოც ჯერ კიდევ 1930-იან წლებში ბრიტანელებმა მთელი ათწლეულით მოიკვეთეს.

ინგლისში 21 სექტემბერს პროფესიული ხანის პირველი დიდი მოვლენა მოხდა. ნაკრების 10 ნომერი რობ ენდრიუ, რომელიც გადასარევი დამრტყმელი, მეარეკნე და მბოჭავია, პირველ ჯგუფში მოთამაშე ლონდონის „ვოსფსიდან" გადავიდა მეორე ჯგუფის გუნდ „ნიუკასლ-გოსფორიში".

ამაში არავის არაფერი ეუცნაურა. როგორც კი რაგბი გაპროფესიულდა, კლუბი შეიძინა ადგილობრივმა მილიონერმა, სერ ჯონ ჰოლმა და ფეხბურთის პრემიერ ლიგის ლიდერ „ნიუკასლ იუნაიტედთან" ერთად ნიუკასლის სპორტულ კლუბად გააერთიანა, ენდრიუს კი ფეხბურთის მენეჯერი კევინ კიგანის ანალოგიური ფუნქცია დააკისრა — ქვეყანაში საუკეთესონი უნდა გავხდეთო.

ენდრიუ ხუთი წლის მანძილზე გასამრჯელოდ მიიღებს 750 ათას გირვანქას. მან იმისთვისაც უნდა იმეცადინოს, რომ ნიუკასლურ რაგბს მთელს ჩრდილოეთ ინგლისში გაუთქვას სახელი და ამ კუთხის მოზარდები ბურთაობაში აიყოლიოს.

ჟაფლან ჯანდიერი



1. მულერმა რაგბს ზურგი აქცია; ვინძლო — დროებით?
2. კრონფელდს ჩაფხუტზე ლოზუნგს არ აწერინებენ
3. ბერბიზიემ პრეზიდენტის დიქტატი ვერ იგუა და გადადგა
4. ენდრიუმ „ნიუკასლი" უნდა აალორძინოს

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ფრჩხილებში მითითებულია კოეფიციენტები შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის

უეფას თასი. 26 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მარიბორი (სლოვენია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | (5,0-1,1) | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ბარსელონა (ესპანეთი) — ჰაპოელი (ისრაელი) | (— -99,0) | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| ომონია (კვიპროსი) — ლაციო (იტალია) | (99,0- —) | 4,4 | 3,2 | 1,3 |
| უიპეშტი (უნგრეთი) — სტრასბური (საფრანგეთი) | (10,0- —) | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ზაგლებიე (პოლონეთი) — მილანი (იტალია) | (99,0- —) | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| ბორდო (საფრანგეთი) — ვარდარი (მაკედონია) | (— -40,0) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| სტანდარდი (ბელგია) — გიმარაეში (პორტუგალია) | (1,8-1,6) | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| რეალ ბეტისი (ესპანეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) | (1,05-7,5) | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — როტორი (რუსეთი) | (1,05-7,5) | 1,1 | 3,4 | 6,5 |
| პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — მიუპა 47 (ფინეთი) | (1,05-7,5) | 1,1 | 3,4 | 6,5 |
| ავენირი (ლუქსემბურგი) — ლანსი (საფრანგეთი) | (99,0- —) | 3,8 | 2,8 | 1,5 |
| სილკებორგი (დანია) — სპარტა (ჩეხეთი) | (1,15-4,0) | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| ბენფიკა (პორტუგალია) — ლიერსი (ბელგია) | (— -10,0) | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| რომა (იტალია) — ქსამაქსი (შვეიცარია) | (1,05-7,5) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ბოტევი (ბულგარეთი) — სევილია (ესპანეთი) | (5,0-1,1) | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ოლიმპია (სლოვენია) — როდა (ჰოლანდია) | (75,0- —) | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| ლოკომოტივი (რუსეთი) — ბაიერნი (გერმანია) | (1,5-2,0) | 2,8 | 2,6 | 1,8 |
| დინამო (ბელარუსი) — აუსტრია (ავსტრია) | (1,2-3,5) | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — მალმიო (შვედეთი) | (.1,3-2,8) | 1,1 | 3,3 | 7,0 |
| ვიძევი (პოლონეთი) — ჩერნომორეცი (უკრაინა) | (1,7-1,7) | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) — მონაკო (საფრანგეთი) | (— -50,0) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ლილესტრიომი (ნორვეგია) — ბრონდბიუ (დანია) | (10,0- —) | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| აკრანესი (ისლანდია) — რეის როვერსი (შოტლანდია) | (3,5-1,2) | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| სლავია (ჩეხეთი) — ფრაიბურგი (გერმანია) | (1,2-3,5) | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — სლოვანი (სლოვაკეთი) | (1,25-3,1) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ინტერი (იტალია) — ლუგანო (შვეიცარია) | (1,05-7,5) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ლიონი (საფრანგეთი) — ფარენსე (პორტუგალია) | (1,05-7,5) | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| აალსტი (ბელგია) — ლევსკი (ბულგარეთი) | (1,05-7,5) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ვერდერი (გერმანია) — გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) | (— -99,0) | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| ოსერი (საფრანგეთი) — ვიკინგი (ნორვეგია) | (1,05-7,5) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ლივერპული (ინგლისი) — ვლადიკავკაზი (რუსეთი) | (1,05-7,5) | 1,2 | 3,2 | 5,6 |
| რაფ (ლატვია) — ზიმბრუ (მოლდოვა) | (2,0-1,5) | 1,6 | 2,8 | 3,2 |

ჩემპიონთა თასი. 27 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ნანტი (საფრანგეთი) | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| სპარტაკი (რუსეთი) — ლეგია (პოლონეთი) | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| რუსენბორგი (ნორვეგია) — ბლექბერნ როვერსი (ინგლისი) | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| რეინჯერსი (შოტლანდია) — დორტმუნდი (გერმანია) | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| იუვენტუსი (იტალია) — სტიაუა (რუმინეთი) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) — აიაქსი (ჰოლანდია) | 3,8 | 2,8 | 1,5 |
| რეალი (ესპანეთი) — გრასჰოპერი (შვეიცარია) | 1,15 | 3,1 | 7,0 |

თასების თასი. 28 სექტემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი(ჰოლანდია) — დაგ ლიეპაია (ლატვია) | (— -99,0) | 1,05 | 3,2 | 12,0 |
| შახტიორი (უკრაინა) — ბრიუგე (ბელგია) | (2,5-1,35) | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| სელტიკი (შოტლანდია) — დინამო (ბათუმი) | | ანგარიში — 4,0 | | |
| კოპენჰაგენი (დანია) — ჰრადეც კრალოვე (ჩეხეთი) | (20,0- —) | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ჰალმსტადი (შვედეთი) — ლოკომოტივი (ბულგარეთი) | (2,1-1,45) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ევერტონი (ინგლისი) — რეიკიავიკი (ისლანდია) | (— -30,0) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| სარაგოსა (ესპანეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) | (— -25,0) | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| პეტროლული (რუმინეთი) — რაპიდი (ავსტრია) | (2,3-1,4) | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| პსჟ (საფრანგეთი) — მოლდე (ნორვეგია) | (— -20,0) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| არარატი (სომხეთი) — დინამო (რუსეთი) | (2,3-1,4) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| სიონი(შვეიცარია) — აეკ (საბერძნეთი) | (2,5-1,35) | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| სილექსი (მაკედონია) — მიონხენგლადბახი (გერმანია) | (30,0- —) | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| პარმა (იტალია) — ტეუტა (ალბანეთი) | (— -50,0) | 1,05) | 3,0 | 12,0 |
| ტრაბზონსფორი (თურქეთი) — ჟალგირისი (ლიტვა) | (1,1-5,0) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| მაკაბი (ისრაელი) — სპორტინგი (პორტუგალია) | (30,0— -) | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| დეპორტივო (ესპანეთი) — აპოელი (კვიპროსი) | (— -10,0) | 1,05 | 3,2 | 12,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 1000 მანეთი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში ალნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (1 000 მანეთი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | | | | | | | | | | | | | | 3-2 | | | | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | | | | | | | | | | | 3-1 | | | | | | |
| 3 | FC BARCELONA | | | ■ | | | | | | 2-0 | | | | | | | | | | | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | | | ■ | | | | 0-2 | | | | 4-0 | | | | | | | | | | |
| 5 | SD COMPOSTELA | | | | | ■ | | 4-0 | | | | | | | | | | | | | | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | | | 4-2 | | | | | | | | | | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | | | | | | | ■ | | | | | | | | | 2-0 | | | 3-0 | | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | | | | | 2-0 | | ■ | | | | | | 4-1 | | | | | | | | |
| 9 | RAYO VALLECANO | | | | | | | | | ■ | 1-5 | | | | | 1-2 | | | | | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | | 1-2 | | | | | | ■ | 2-3 | | | | | | | | | | | |
| 11 | REAL OVIEDO | | | | 0-0 | | | | | 2-0 | | ■ | | | | | | | | | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | 0-4 | | | | ■ | | | | | 1-1 | | | | | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | | | | | | | 1-0 | | ■ | | | | | | | | | |
| 14 | REAL SOĆIEDAD | | 0-1 | | | | 2-0 | | | | | | | | ■ | | | | | | | | |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | | | | | | | | 0-0 | | | 3-1 | | ■ | | | | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | | | | | | | | | | | | | ■ | | | | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | | | | | | | | | | | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | |
| 18 | CD TENERIFE | | 1-4 | | | | | 1-1 | | | | | | | | | | | ■ | | | | |
| 19 | VALENCIA CF | | | | | | | | | | | | | 0-0 | | | | | 1-0 | ■ | | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | | | | | | | | | | | | | ■ | | |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | 0-1 | | | | | | | | | | | | | 2-2 | | | ■ | |
| 22 | MERIDA | | | | | | | | | | | | | | | 1-1 | | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA BERGAMO | ■ | | | | | | | | 1-3 | | 1-1 | | | | | | | |
| 2 | AS BARI | | ■ | | | | | | | 1-1 | | | | | 3-3 | | | | |
| 3 | US CAGLIARI | | | ■ | | | | | | | | | | | 0-1 | | | | 0-0 |
| 4 | US CREMONESE | | | | ■ | | 0-0 | | | | | | | 0-1 | | | | | |
| 5 | AC FIORENTINA | | | 3-1 | | ■ | | | | | | | | | | 2:0 | | | |
| 6 | SAMPDORIA | | | | | | ■ | | | | | 3-0 | | 1-1 | | | | | |
| 7 | AC MILAN | 3-0 | | | | | | ■ | | | | | | | | | 2-1 | | |
| 8 | INTER MILANO | | | | | | | | ■ | | | | 0-0 | | | | | 1-0 | |
| 9 | SSC NAPOLI | | | | | | | | 2-1 | ■ | 2-0 | | | | | | | | |
| 10 | AC PADOVA | | | | | | | 1-2 | | | ■ | | | | | 1-1 | | | |
| 11 | AC PARMA | | | | | 3-0 | | | 2-1 | | | ■ | | | | | | | |
| 12 | PIACENZA | | 3-2 | | | | | | | | | | ■ | | | | | | 0-4 |
| 13 | AS ROMA | 0-1 | | | | | | 1-2 | | | | | | ■ | | | | | |
| 14 | LAZIO ROMA | | | | | | | | | | | | 4-1 | | ■ | | 2-2 | | |
| 15 | AC TORINO | | 3-1 | | | | 1-1 | | | | | | | | | ■ | | | |
| 16 | UDINESE | | | 1-0 | 3-2 | | | | | | | | | | | | ■ | | |
| 17 | VICENZA | | | | | 1-0 | | | | | 2-1 | | | | | | | ■ | |
| 18 | JUVENTUS TORINO | | | | 4-1 | | | | | | | | | | | | | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | | | | | | | | | | | 1-1 | | 1-1 | | | 4-2 | | 1-0 | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | | 1-0 | | | | | | | 3-1 | | | 1-1 | | | | | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | | | 5-1 | | | | | 1-2 | | | | 1-0 | | | | | |
| 4 | BOLTON WONDERERS | | | 2-1 | ■ | | | | | | | | 1-1 | 1-3 | | | | | | | |
| 5 | FC CHELSEA | | | | | ■ | 2-2 | 0-0 | | | | | | | | | | 3-0 | | | |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | | | | | ■ | | | | 2-1 | | | | 1-1 | | | | | | |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | | | | | ■ | | | | 2-3 | | | | | | 2-0 | | | |
| 8 | LEEDS UNITED | | 2-0 | | | | | | ■ | 1-0 | | | | | | 1-2 | | | | | |
| 9 | FC LIVERPOOL | | | 3-1 | 5-2 | | | | | ■ | | | | | | 1-0 | 1-0 | | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | | | | | | 0-2 | | | ■ | | 0-1 | | | | | | 1-1 | | |
| 11 | MANCHESTER UNITED | | | | 3-0 | | | | | | | ■ | | | | | | | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | | | | | 2-0 | 2-1 | | | | | | ■ | | | | | 0-0 | | | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | | | | | 2-0 | 3-0 | | | | 3-1 | | 1-0 | ■ | | | | | | | |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | | | | 0-0 | | 3-2 | | | | | | | ■ | | | | | 1-1 | |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | | | | | | | | | 1-0 | | | | | ■ | 0-3 | | | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | | | | | | | | 0-0 | | 0-2 | | | ■ | | 1-3 | | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | | | | | | | | 1-1 | | | | | 1-0 | 3-4 | | | ■ | | | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | | 0-1 | | | | | | 2-1 | 1-3 | | | | | | | | | ■ | | |
| 19 | WEST HAM UNITED | | | | | 1-3 | | 2-1 | 1-2 | | | | | | | | | | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | | 3-2 | | | | 2-4 | 1-0 | | | | | | | 2-2 | | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FORTUNA DUSSELDORF | ■ | | | | 2-2 | | | 2-2 | | | 1-1 | | | | | | | 1-0 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 1-1 | ■ | | | | | | | 1-1 | 1-0 | | | | | 2-0 | | | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | | ■ | | | | | | 1-1 | | | | 2-1 | | | | 6-3 | |
| 4 | FC ST. PAULI | | | 0-3 | ■ | | | | | 1-2 | | | | | | 4-2 | | | |
| 5 | FC HANSA ROSTOCK | | | 3-2 | 2-0 | ■ | | | | | | | 1-2 | 2-3 | | | | | |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | | | 3-4 | | | ■ | | | 3-1 | 2-2 | | | | | 4-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 0-1 | | 0-2 | | 2-0 | ■ | | | | | | | | | | | |
| 8 | HAMBURGER SV | | 3-3 | | | 1-1 | | | ■ | | 0-0 | | | | | | 1-1 | | |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | | | | | | | | | ■ | | | | 1-3 | 2-3 | | | 1-1 | |
| 10 | KARLSRUHER SC | 3-1 | | | | | | | | | ■ | 1-0 | | | 2-6 | | | | |
| 11 | 1. FC KÖLN | | | | | | | 1-1 | 3-2 | | | ■ | | | | | 0-1 | | 0-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | | | 1-1 | 1-1 | | 2-0 | | | | | | ■ | | | | | | |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | | | | 2-4 | | | 1-0 | | | | | 0-0 | ■ | | | | | |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | | | | | | | 2-0 | 3-2 | | | | 1-0 | | ■ | | | | 2-0 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | | | | | | | | | | | 2-1 | | | 0-2 | ■ | | 1-1 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | | | | 1-3 | | | | | 2-1 | | | | | 1-1 | ■ | | |
| 17 | VfB STUTTGART | | | | | | | 3-1 | | | | | 1-4 | 5-0 | | | | ■ | 0-0 |
| 18 | UERDINGEN | | 3-0 | | | | 1-1 | | | | | | | | | | 0-1 | | ■ |

# თანადგომის ნაცვლად ერთმანეთს ვქირავთ

რამდენიმე თვეა, ცნობილი მწვრთნელი და სპეციალისტი ვაჟა მხეიძე სირიიდან დაბრუნდა, სადაც სამი წლის განმავლობაში კონტრაქტით მუშაობდა. ჩვენ ჩამოსვლისთანავე მივაკითხეთ ინტერვიუზე, მაგრამ თავაზიანი უარი მივიღეთ. ამ ხანში კითხვები დაგვიგროვდა, ბატონ ვაჟას კი, უკვე „ვითას“ მეორე მწვრთნელს, როგორც ჩანს — სათქმელი. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს — ბრძნული ნათქვამია და ჩვენი შეხვედრაც, ბოლოსდაბოლოს შედგა.



— ბატონო ვაჟა, საქართველოდან „დინამოს“ მეორე მწვრთნელის პოსტიდან წასვლის შემდეგ ხედავთ და ახლა იგივე თანამდებობა „ვითაში“ გაქვთ. დავიჯერო, თქვენებრ გამოცდილი მწვრთნელისთვის უფრო მაღალი რანგის ადგილი ვერ მოინახა?

— მთავარ მწვრთნელად რომელიმე გუნდში მუშაობის სურვილი ნამდვილად მქონდა, მაგრამ ყველაფერი ხომ ჩემზე არ არის დამოკიდებული. ჯერ ერთი, ეს ადგილი ყველა გუნდში დაკავებულია. მეორეც, ჩვენში ცოტაა კლუბი, რომელიც ნორმალურად გადაგიხდის. კალათბურთის გარდა სხვა საქმე არა მაქვს, ამიტომ ეს უკანასკნელი ფაქტორიც მეტად მნიშვნელოვანია ჩემთვის.

— ფსიქოლოგიური ბარიერი ხომ არ გაკავებთ. თქვენგან გამიგია — მთავარი და მეორე მწვრთნელის მუშაობა ცა და დედამიწასავით განსხვავდებაო...

— სირიაში მთავარ მწვრთნელად ვმუშაობდი. ახლა ისევე მიჭირს გადმოწყობა, როგორც იქ ჩასულს, მიუხედავად იმისა, რომ ლევან მოსეშვილთან ძალიან კარგი სკოლა მქონდა გავლილი. მიჭირს, მაგრამ რას იზამ, მწვრთნელის ცხოვრება ასეთია.

— სირიაში რას საქმიანობდით?

— სამწლიანი კონტრაქტით ვმუშაობდი იქაური არმიის სპორტულ კლუბში. პირველ წელს ქვეყნის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიყვანე გუნდი, მეორე წელს — მესამეზე, ბოლოს კი ჩემპიონები გავხდით.

— ამჟამად „ვითაში“ ხართ და, ძალაუნებურად, „ჟალგირისთან“ მატჩის შესახებ მოგვიწევს საუბარი...

— „ვითაში“ თვენახევრის მისული ვარ. ჯერ სიტუაციაში ვერკვევი და ბევრი ვერაფრის გაკეთება მოვასწარი. იმ საქმეს ვგულისხმობ, მე რომ მეხება. ერთი რამ შემიძლია ვთქვა, ჩვენი გუნდი ევროპულ დონეზე სათამაშოდ ჯერ არ არის მზად.

ცხადია, „ჟალგირისთან“ მარცხი ვერ ამაფრთოვანებდა. თუმცაღა, სავაივიშოსა და ქვეყნის დასაქცევს ამაში ვერაფერს ვხედავ. ბიჭებმა ითამაშეს, მაგრამ გამოცდილებამ, უფრო სწორედ კი გამოუცდელობამ დაალალატათ. ნორმალურ დონეზე თამაშისთვის გუნდმა სეზონში მინიმუმ 55-60 დაძაბული მატჩი უნდა გამართოს, გნებავთ საერთაშორისო, გნებავთ საშინაო. უცხოელებს ვერ ვეთამაშებით, კარგად იცით რატომაც. ჩვენი ჩემპიონატის მხილველმა კი რომელი კლასის ამაღლებაზე უნდა ილაპარაკო.

ახლა სამართლიანად შენიშნავენ, „ვითამ“ საჯარიმოები ვერ ჩააგდოო. ეს ყველაფერი ნერვებიდან წამოსული ამბავია. ნერვები კი პირდაპირ კავშირშია გამოცდილებასთან. სათამაშო სიტუაცია სულ სხვაა, თორემ ნებისმიერი ვითელი ვარჯიშზე ათიდანცხრა საჯარიმოს აგდებს. ავიღოთ ლიტველები, მაგალითად, კურტინაიტისს ნერვები საერთოდ არა აქვს, რადგან თავის დღე და მოსწრება სულ კარგ დონეზე თამაშობს.

— საზოგადოდ, არც „ჟალგირისი“ არის ექსტრა-კლასის გუნდი...

— ჩვენთან შედარებით გაცილებით მაღალი კლასისაა, ხოლო ევროპული მასშტაბებით— საშუალო გუნდია, იმ შემთხვევაში, თუკი საბონისს არ დაიმატებენ. თუმცა, კაუნასში მათ ათამაშეს 218 სანტიმეტრიანი ახალგაზრდა ბიჭი ჟუკაუსკასი. ამ ბავშვთან, თუკი სწორედ ავარჯიშეს, ჩემი აზრით, საბონისი მონაგონი იქნება.

ეკონომიკური მხარე ავიღოთ. როცა ჩვენ ელემენტარული ყოფითი პრობლემებით ვართ დატვირთულნი, „ჟალგირისი“ 140 ათას დოლარს იხდის იმაში, რომ შემდეგ წრეში გავიდეს. ეს თანხა ნაწილდება ორ უცხოელზე — ბრინსა და ბაბიჩზე, რომლებიც მხოლოდ ევროთასებისთვის დაიმატეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ლოგიკურად მოხდა, წავაგეთ დანაყრებულთან, ჩაცმულ-დახურულთან, უპრობლემოსთან და იმგვართან, ვისაც საკალათბურთო მუშაობა ერთი წამითაც არ შეუწყვეტია. არა მგონია, შეგნებულმა ხალხმა ეს ვერ გაიგოს. შეცდომებიც გვქონდა: ფიბაში გვიან გავაგზავნეთ ქარაბაკის განაცხადი. არადა, ლევანი რომ გვყოლოდა, გაცილებით უკეთ ვითამაშებდით.

— განშორების შემდეგ როგორად გეჩვენათ ჩვენი კალათბურთის დონე?

— კლასი ამ ხნის მანძილზე დაეცა და საერთო დონეც დაბალია. ამას ბევრი მიზეზი აქვს. ერთ-ერთი ავიღოთ: სავარჯიშო მეთოდიკის არ არსებობა. სირიაში, არც თუ მდიდარ და დალხენილ ქვეყანაში, შეგიძლია შეხვიდე მალაზიაში და იყიდო სასწავლო წიგნი, ან კასეტა. საქართველოში ეს არ არის. მალაზიას ვინ ჩივის, თითოოროლა ეგზემპლარიც არ იქნებოდა, ვილაც ღვთისნიერს უცხოეთიდან რომ არ ჩამოჰქონდეს. სანამ იმას თარგმნიან და მოამზადებენ, უკვე ძველდება. თქვენ შეგიძლიათ დღეს დაწეროთ იგივე ენით, როგორითაც 30 წლის წინათ იწერებოდა? ასეთივე დღეში ვართ ჩვენც. საკალათბურთო ტაქტიკა ყოველწლიურად იცვლება, ჩვენ კი ამის შესახებ არაფერი ვიცით. ჩვენს გუნდებს კი ევროპულ დონეზე თამაშს ვთხოვთ. რატომ? რის საფუძველზე უნდა განვვითარდეთ, როცა ყველაზე ელემენტარული არა გვაქვს. სხვათა შორის, წიგნის, მეთოდიკის კითხვას დღეს აღარავინ თაკილობს, მათ შორის NBA-ის მწვრთნელებიც და მოთამაშეებიც.

— იმის საშიშროებას ხომ არ ხედავთ, საქართველოში კალათბურთი რომ აღარ განვითარდეს?

— თუ არ იქნა დაფინანსება, მოვხვდებით ვაკუუმში და მაშინ რომელ კალათბურთზეა საუბარი. არც ისაა გამორიცხული, რომ იმ სპონსორსა თუ პატრონს, ვისზეც, ფაქტიურად დგას ჩვენი კალათბურთი, ხვალ მობეზრდეს ფულის ტყუილად ხარჯვა. მართლიც იქნება, აბა რისთვის წვალობს, რომ ევროთასების პირველსავე წრეში წააგო და გამოვარდე?

ცხადია, ღადებითსაც ვხედავ. მოდის ძალიან კარგი ახალგაზრდობა. ბავშვთა ლიგა კარგი საქმეა და იმედს მისახავს. აქაც ფრთხილად უნდა ვიყოთ. ამ ბავშვებში თუკი ვინმე კარგი გამოერევა, მას უცხოეთში ძალიან ბევრი შეხედავს. ჩვენი მოუწესრიგებელი მეურნეობის გამო პერსპექტიული ახალგაზრდა შეიძლება სამუდამოდ დავკარგოთ. ისე, როგორც დაიკარგა იგორ მურაიტოვი, დიდი ნიჭის და პოტენციალის მქონე ჭაბუკი.

— მოთამაშეთა მიგრაციაზე რა აზრის ბრძანდებით?

— მოთამაშე უნდა წავიდეს საზღვარგარეთ, ოღონდ არა ისე — აიღოს ჩემოდანი გაემგზავროს, დარჩეს იქ და დაიკარგოს. უნდა არსებობდეს გამართული საკონტრაქტო სისტემა და ყველაფერი კლუბთან და ფედერაციასთან შეთანხმებით უნდა მოხდეს.

მე თუ მკითხავთ, დავაწესებდით ასაკობრივ ზღვარს, რომლის ქვევითაც მოთამაშეს უცხოეთში არ გავუშვებდი.

მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი მწვრთნელების წასვლა მიმაჩნია. მწვრთნელიც უნდა გაემგზავროს საზღვარგარეთ სამუშაოდ, გინდა სტაჟირება დაარქვით, გინდათ კვალიფიკაციის ამაღლება. ფედერაციამ ეს აუცილებლად უნდა მოაგვაროს. საქართველოში მწვრთნელებს ძალიან სჭირდებათ თვალსაწიერის გაფართოება. ამის გაკეთება, მერწმუნეთ, არ არის ძნელი. არ შემიძლია აქვე ერთი რამ არ აღვნიშნო: რა გაგვიჭირდა ისეთი, რომ საბერძნეთში, ევროპის ჩემპიონატზე საქართველოდან ერთი მწვრთნელიც არ იყო. განა ბესიკ ლიპარტელიანი, ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, იქ არ უნდა გაეშვათ? როგორ თხოვ მწვრთნელს შედეგს, თუკი მან არაფერი არ ნახა, არ განათლდა და მომავალ მეტოქეებზე წარმოდგენა არ შეექმნა.

— კეთილი. მაგრამ აქ დარჩენილ მოთამაშეებს და მწვრთნელებს რა შეიძლება ეშველოთ?

— პირველ რიგში, გავიმეორებ, საჭიროა დიდი რაოდენობით დაძაბული მატჩები, თუკი თანხები გამოჩნდა, ალბათ უნდა ვიფიქროთ იმ ძველი კავშირების აღდგენაზე, ყოფილ რესპუბლიკებთან რომ გვქონდა. მოგეხსენებათ, რუსებს თამაშების ნაკლებობა არ აწუხებთ, აგრეთვე ბალტიელებსაც. მიუხედავად ამისა, იქაური კალათბურთის მესვეურები ჩემთან საუბარში აღნიშნავდნენ, რომ მათაც ბევრი რამ დაკარგეს ამ კონტაქტების მოშლით.

— ამ კავშირების აღდგენა ტურნირბის სახით უნდა მოხდეს თუ ამხანაგური მატჩების?

— რეგულარული ტურნირით, რომელიც ხელს არ შეუშლის ეროვნულ ჩემპიონატს. ამხანაგური მატჩი მაინც ამხანაგურია. გამოვედით და მოსკოვის „სპარტაკის“ 30 ქულა მოვუგეთ. ეს არაფერი არ იყო. ჩვენი მხრიდან გახლდათ მხოლოდ შოუ. „ჟალგირისთან“ შეხვედრის წინ იმ თამაშს ჩვენთვის არაფერი მოუცია.

— თქვენ „დინამოში“ იმ პერიოდში მუშაობდით, როცა გუნდში ბევრი იყორუსეთიდან ჩამოყვანილი მოთამაშე...

— თუკი NBA-ში თამაშობენ აფრიკელები და ამერიკელები ამას არ უკადრისობენ, დავიჯერო, ჩვენ მათზე მაღლა ვდგავართ? გადახედეთ ევროპას — იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი სავსეა სხვადასხვა ჯურის კალათბურთელებით. სხვა სპორტი ავიღოთ: ვინ იფიქრებდა, რომ ინგლისის ფეხბურთი ასე „გაშავდებოდა“?

პირადად მე მომხრე ვარ, რომ საქართველოს გუნდებში ითამაშონ მოწვეულმა კალათბურთელებმა. თუკი კლასის აწევა გვსურს, „ახალი სისხლის გადასხმაზე“ უნდა ვიფიქროთ. სხვაგვარად არ შეიძლება. რა, ცუდი მოთამაშე იყო გენადი კაპუსტინი? სპორტის სასახლე მისი თამაშის ნახვის მსურველებით გაჭედილი რომ იყო, ეს არაფერს ნიშნავს?

— „დინამოში“ ყოფნისას არც ინტრიგები იყო თქვენთვის უცხო, ამჟამად როგორ იჩენს თავს ეს სენი ქართულ კალათბურთში?

— ეს ინტრიგები ახლა უფრო ზემოთ ამოტივტივდა. ადრე, საბჭოთა კავშირის დროს, ერთი „დინამო“ იყო და ყველაფერი ეს ვიწრო წრეში ხდებოდა. ახლა საქართველოს ჩემპიონატში უფრო გამძაფრდა და ნათლად გამოჩნდა. რაზეა საერთოდ ლაპარაკი — სანამ არ შეეშვებიან ინტრიგებს კალათბურთი ყოველთვის დაღუპვის პირას იქნება. მესმის ოპოზიცია, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ არ არის. ქართულ კალათბურთში არის მხოლოდ ერთმანეთისთვის ფეხის დადება, ზურგისკენ ლაპარაკი და ამგვარი საზიზღრობები. არც კი იცი, რა უნდა აკეთო — იმუშაო თუ იმას ელოდო, ზურგში დანას ვინ ჩაგარტყამს. კალათბურთის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ პირველ რიგში ამას უნდა მიხედოს. გუნდები ერთმანეთთან შეკრული უნდა იყვნენ, რომ ჩვენი კალათბურთი რაღაცას დაამსგავსონ. სინამდვილეში კი რა ხდება — ყველანი ერთმანეთის ჩაძირვაზე არიან გადასული.

„ჟალგირისთან“ მატჩის შემდეგ ზურაბ საკანდელიძის იუბილე იყო. ერთ-ერთმა გამომსვლელმა მისალოც სიტყვაში „ვითას“ თამაში გაარჩია. ეს როგორ შეიძლება. ბიჭებს თავისიგასაჭირი ეყოფოდათ, თამაში რომ წააგეს, შესაძლებლობები ვერ გამოავლინეს და ამ დროს საჯაროდ წიხლს აჭერ? უარესს გეტყვით. „სპარტაკთან“ ჩვენი თამაშის ვიდეო-კასეტა საქართველოდან ვილაცამ მიართვა „ჟალგირისის“ ხელმძღვანელობას...

— ეს ჟურნალისტების მისამართით ნასროლი ქვა ხომ არ არის?

— არა, ჟურნალისტები რა შუაშია ხართ. თქვენ ძირითადად ობიექტურად უყურებთ საკალათბურთო სამყაროს. თუმცაღა, თქვენც კალათბურთელებივით არანორმალურ სიტუაციაში გიწევთ მუშაობა. ისე, ჟურნალისტთა შორისაც უნდა მიექცეს პროფესიონალიზმს ყურადღება. ბევრი დათვურ სამსახურს უწევს კალათბურთს — კარგია რეკლამა, აჟიოტაჟი, მაგრამ ნამეტანი არაფერი ვარგა; მით უმეტეს, ქართველი კაცის ბუნების გათვალისწინებით.

— ახლოვდება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. თუკი საქართველოს ჩემპიონმა საშუალო ევროპულ კლუბთან წააგო, ეროვნულ გუნდს ამავე დონის ნაკრებებიან შეხვედრებში იგივე ხომ არელის?

— თქვენ ალბათ იმას გულდისხმობთ, რომ „ვითა“ ნაკრების საბაზო გუნდია. კალათბურთი ისეთი სპორტია, სადაც ერთიორი კაცი უკვე ბევრის ნიშნავს. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ ფორმაში იქნება ვლადიმერ სტეფანია. საერთოდ, ნაკრების თაობაზე რაიმეს თქმა მიჭირს. იქ ჩემი კოლეგები მუშაობენ და მე თავს უფლებას არ მივცემ მათი შრომა შევაფასო. უბრალოდ, ჩემთვის ვფიქრობ რაღაც-რაღაცეებს, ხმამაღლა კი არ ვიტყვი. ყოველ შემთხვევაში ნაკრებმა შინ კარგად უნდა ითამაშოს. სურვილი კი ის არის, რომ გაიმარჯვონ. მათი წარმატება დიდ სტიმულს მისცემს ახალგაზრდა კალათბურთელებს და საერთოდ, კალათბურთის განვითარებას საქართველოში.

მერაბ რატიშვილი



# ქართველთა ახალი აღზევება

ყველა გაგვახარა ქეთევან არახამიას, ქეთევან კახიანის და ნინო იოსელიანის ახალმა წარმატებამ. მათ დამაჯერებლად დაიკავეს პირველი სამი ადგილი ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში, რომელსაც ამას წინათ კიშინიოვმა უმასპინძლა. ამგვარ შედეგს ველოდით, მაგრამ არ გვეგონა, თუ სამეულში არავის „გაიკარებდნენ“. ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ. სწორედ მათგან გახდნენ პრეტენდენტები — ალისა გალიამოვა (უკრაინა), ალისა მარიჩი (იუგოსლავია), ზოაგინ პენგი (ჩინეთი) და ვესნა მისანოვიჩი (ბოსნია-ჰერცოგოვინა), თუმცა თითოეულს დიდი ვნებათაღელვა შეხვდა.

თავიდან გამოცხადდა, რომ კიშინიოვის ტურნირ პრეტენდენტის მხოლოდ 6 საგზური გამოეყო ტრადიციული შვიდის ნაცვლად. რატომ შეცვალა ფიდე-მ წესი? მის მესვეურებს სურდათ პრეტენდენტთა ტურნირში იუდით პოლგარის ჩაბმა. ამ უაღრესად ნიჭიერ, 19 წლის გოგონას უკვე რამდენიმე წელია ქალთა შორის უდიდესი რეიტინგი აქვს. მაგრამ მალე გაირკვა, რომ იუდითი უარზეა, არა აქვს პრეტენზია ქალთა მსოფლიო ჩემპიონობაზე. ჩანს, კვლავინდებურად ფიქრობს ვაჟებს შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე. რატომაც არა. ამჟამად იგი დიდოსტატ ვაჟთა ელიტაში შედის, წარმატებით უმკლავდება მათ. მეშვიდე საგზურმა ბრძოლა კიდევ უფრო გაამძაფრა.

თუ ვინმეს არ გაუმართლა კიშინიოვში, ალბათ ყველაზე მეტად ნინო გურიელს. ფინიშამდე ნინო თამაშობდა თავდაჯერებულად, დაუმარცხებლად და შედეგიანად. მუდამ ლიდერთა შორის იყო. მაგრამ მოულოდნელად ისე „აირია“ საქმე, რომ მას უცებ საგზურის სამი სერიოზული მოცილე გაუჩნდა. ემოციურ ნინოს მტანჯველი ფიქრები აედევნა და ფსიქოლოგიურად დათრგუნა. დასკვნით პარტია გალიამოვასთან თითქმის უბრძოლველად დათმო მაშინ, როცა ყაიმიც ყოფნიდა! ახლა გურიელი პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის პირველი კანდიდატია.

მაშ ასე, კიშინიოვმა პრეტენდენტთა ტურნირის შვიდი მონაწილე დაასახელა. მათ დაემატებიან მსოფლიოს ექსჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და დამარცხებული მსოფლიო პირველობის მატჩში სე ძიუნსა (ჩინეთი) და ჟუჟა პოლგარს (უნგრეთი) შორის. ეს შეხვედრა წლის ბოლომდე უნდა მოეწყოს, მაგრამ როდის და სად ჯერ არავინ იცის. პრეტენდენტთა ტურნირი კი გაისად სექტემბერში გაიმართება.

არახამიამ, კახიანმა და იოსელიანმა სტარტიდანვე ძალლესი ტემპი შესთავაზეს მეტოქეებს. 8 ტურის შემდეგ არახამიას 6,5 ქულა ჰქონდა, კახიანსა და იოსელიანს 6-6. მათ ვერავინ აჰყვა. შორი-ახლოს მიჰ-ყვებოდნენ გალიამოვა და მარიჩი — 5-5.

ორიოდე სიტყვა კახიანზე. როგორც იცით, იგი გერმანიაში გათხოვდა. ცოლად გაჰყვა ჭადრაკის მესვეურს და ბანკირს იურგენ გერშინსკის, რომელიც, სხვათა შორის, თან ახლდა ქეთევანს კიშინიოვში. 14 აგვისტოს კახიანს ვაჟი შეეძინა. ასე რომ, თითქმის „მოუმზადებლად“ ჩაება ტურნირში და საოცარი სიმშვიდით, მაგრამ მიზანდასახულად იბრძოდა პრეტენდენტის საგზურისთვის. ტურნირის 52 მონაწილიდან მხოლოდ მას და იოსელიანს ვერავინ ათქმევინა „დავნებდი“.

ჩვენს ახალგაზრდა ოსტატებს კი მართლაც გაუჭირდათ. მოულოდნელი იყო ნინო ხურციძის ფიასკო. მხოლოდ ფინიშის სწორზე ვიხილეთ „გაავებული“ ახალგაზრდა დიდოსტატი. ბოლო ოთხ ტურში მან 3,5 ქულა აიღო! საყვედური არც მირანდა ხორავას, ნატო ეძგვერაძეს, მაია ლომინეიშვილს და ნათია ჯანჯღავას ეთქმით, თან დიდი გამოცდილება დააგროვეს. მაგალითად, ხორავა 10 დიდოსტატს შეხვდა. მათგან რუსეთის ჩემპიონს ლიუდმილა ზაიცევას და 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონს ჩუ ჩენი (ჩინეთი) ფარ-ხმალი დააყრევინა.

როგორ შევაფასოთ ჩვენი გოგონების გამოსვლა? — დამაკმაყოფილებლად, ამბობს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ვაჟა შუბლაძე, რომელიც დელეგაციის ხელმძღვანელად ახლდა ჩვენს მოჭადრაკეებს კიშინიოვში. ამჯერად არ ველოდით მათგან პრეტენდენტობას, მაგრამ გვჯეროდა, რომ შესანიშნავ სკოლას გაივლიდნენ, რაც კარგი მომავლის საწინდარი იქნებოდა.

კიშინიოვში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ქართველ ქალთა საჭადრაკო ფენომენი კვლავაც ალმავლობის გზაზეა. ამიტომ მომავალს იმედით შევყურებთ.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი.


საფეხბურთო ტოტალიზატორი

ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი № 01

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1.10 | იუვენტუსი — ნაპოლი | იტ. ჩემპ |
| 2 | 1.10 | ბარი — მილანი | იტ. ჩემპ. |
| 3 | 1.10 | რომა — ლაციო | იტ. ჩემპ. |
| 4 | 1.10 | ინტერი — ტორინო | იტ. ჩემპ. |
| 5 | 1.10 | რეალ (მადრ) — ბარსელონა | ესპ. ჩემპ. |
| 6 | 1.10 | დეპორტივო — ალბასეტე | ესპ. ჩემპ. |
| 7 | 1.10 | ესპანიოლი — რასინგი | ესპ. ჩემპ. |

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან. რეგისტრაციის ბოლო ვადაა 30 სექტემბერი (ჩათვლით). ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 0.2 აშშ დოლარის (20 ცენტი) ეკვივალენტი (1000 მან ან შესაბამისი კუპონები).

თამაშის წესები

1. ტოტალიზატორის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოთამაშემ სწორად გამოიცნოს შემოთავაზებული ფეხბურთის მატჩების ანგარიშები (ძირითადი დრო).
2. მატჩების სია განისაზღვრება შვიდი მატჩით და ცხადდება ტირაჟის ანონსში.
3. როგორც წესი, ჩატარდება კვირაში ერთი ტირაჟი.
4. კონკრეტულ ტირაჟში მონაწილე ბილეთების რეგისტარცია წყდება წინასწარ გამოცხადებულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს ტირაჟში მონაწილე პირველი მატჩის ჩატარებისწინა დღისა.
5. როგორც წესი, მოგებისათვის აუცილებელია ხუთი, ექვსი ან შვიდი მატჩის ანგარიშის გამოცნობა. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულ ტირაჟში რამდენი მატჩის ანგარიშის გამოცნობა უზრუნველყოფს მოგებას, ცხადდება ტირაჟის ანონსში.
6. მოგების ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი კატეგორიის საპრიზო ფონდის ფარდობით ამ კატეგორიის მოგებული ბილეთების რაოდენობასთან.
7. იმ შემთხვევაში, თუ შვიდი (ან ნაკლები) ანგარიში ვერავინ გამოიცნო ამ კატეგორიის (კატეგორიების) საპრიზო ფონდი გადადის და ემატება შემდეგი ტირაჟის საპრიზო ფონდს (JACK-POT).
8. მატჩების ნუმერაცია ბილეთში შეესაბამება მატჩების ნუმერაციას ტირაჟის ანონსში.
9. ბილეთი შედგება ორი ნაწილისაგან, რომლებიც უნდა შეივსოს ერთნაირად. რეგისტრატორის მიერ დამოწმებული ნაწილი A მიეცემა მოთამაშეს, ხოლო ნაწილი B რჩება რეგისტრატორთან. ბილეთების შევსებისას ყოველგვარი გადაკეთება და შესწორება დაუშვებელია. ამასთან, ბილეთებში შევსებული ანგარიშები უნდა ეწეროს მკაფიოდ, გამოკვეთილად და გასაგებად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ციფრის წაკითხვა გამოიწვევს კამათს, შესაბამისი მატჩის ანგარიში ჩაითვლება არაგამოცნობილად. პასუხისმგებლობა ბილეთის სწორად შევსებაზე ეკისრება მოთამაშეს. არასწორად შევსებული ბილეთები (ვარიანტები) გათამაშებიდან მოიხსნება ღირებულების აუნაზღაურებლად.
10. იმ შემთხვევაში, თუ მატჩი არ ჩატარდა (გადაიდო ან სხვა მიზეზით), ან ჩაიშალა (არ დამთავრდა) ან შეიცვალა მასპინძელი გუნდი — მოთამაშეებს შესაბამისი მატჩის შედეგი ჩაეთვლებათ გამოცნობილად, მიუხედავად მითითებული ანგარიშისა. თუ ასეთი მატჩების რაოდენობა ერთ ტირაჟში გადააჭარბებს სამს, მაშინ თითოეული (ყველა) ზემოჩამოთვლილი კატეგორიის მატჩის ანგარიშად ჩაითვლება 0-0. იმ შემთხვევაში, თუ მატჩის შედეგი დაფიქსირდა — გაპროტესტება მხედველობაში არ მიიღება.
11. კონკრეტული ტირაჟის კონკრეტულ მატჩზე (მატჩებზე) შეიძლება გამოცხადდეს „გაყიდვა“. შესაბამისად, მოთამაშეს ეძლევა საშუალება ანგარიშის მითითების ნაცვლად „იყიდოს“ მატჩი, რის შედეგადაც ამ მატჩის ანგარიში ჩაითვლება გამოცნობილად. ერთ ტირაჟში „გაყიდული“ მატჩების რაოდენობა ვერ აღემატება სამს. ფასები გამოცხადდება ანონსში. მოთამაშე მატჩის „ყიდვის“ საფასურს გადაიხდის ბილეთის ჩაბარებისას, ხოლო ბილეთის შესაბამის უჯრებში ციფრების ნაცვლად ხაზავს ჯვრებს X:X.
12. მოგებები გაიცემა ტირაჟის ბოლო მატჩიდან ერთი თვის განმავლობაში მისამართზე: ხეთაგუროვის 3, მე-3 სართული, ფირმა „ეკიზი“.
ტელ: 95-21-40
13. მოგებები გაიცემა წარდგენილი A ნაწილის საფუძველზე, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრატორის ხელმოწერა და რეგისტრაციის თარიღი.

# გერმანელებმა მოსკოვი ვერ აიღეს

კვირას დასრულდა დევისის თასის „მსოფლიო ჯგუფის“ ნახევარფინალური მატჩები. მოსკოვში რუსეთის ნაკრები თასის სამგზის მფლობელ გერმანიის გუნდს ხვდებოდა, ლას-ვეგასში კი 30-გზის გამარჯვებული აშშ — ხუთგზის მფლობელ შვედეთს.

**რუსეთი — გერმანია 3:2**

22 სექტემბერი. ანდრეი ჩესნოკოვი — ბორის ბეკერი 7:6, 3:6, 6:7, 5:7; ევგენი კაფელნიკოვი — მიხაელ შტიხი 1:6, 6:4, 3:6, 4:6

23 სექტემბერი. კაფელნიკოვი, ანდრეი ოლხოვსკი — ბეკერი, შტიხი 7:6, 6:4, 2:6, 6:7, 7:5

24 სექტემბერი. კაფელნიკოვი — ბერნდ კარბახერი 6:1, 7:6, 6:2, ჩესნოკოვი — შტიხი 6:4, 1:6, 1:6, 6:3, 14:12

იმაზე, რაც გუშინწინ მოსკოვში, სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის“ კორტზე მოხდა, მარტო სენსაცია არ ითქმის. ეს იყო არნახული გმირობა, მასპინძელთა წარმოუდგენელი გამარჯვება მატჩში, რომლის მოგების იოტისოდენა იმედიც კი გადაეწურა ყველას პირველი დღის მერე.

რუსებმა „ოლიმპიისკიში“ ერთ-ერთი შვედური ფირმის ხელით მშვენიერი კორტი მოაწყეს, მასპინძლის უფლებითაც ისარგებლეს და ზედ „ტენისიტი“ დააგეს. როგორც მათი ნაკრების ლიდერმა კაფელნიკოვმა აღნიშნა, მიწის ეს საფარი მათი თამაშის სტილისთვის ზედგამოჭრილი ყოფილა და მეტოქე გუნდების შანსებიც თანაბრად 50:50 შეაფასა. თანაც დასძინა, უფრო ხისტი „სუპრიმი“ რომ დაგვეგო, გერმანელებს გამარჯვების მეტი შანსი ექნებოდათო. სტუმრები, რომლებიც კორტთან შესაგუებლად ერთი კვირით ადრე ჩაფრინდნენ მოსკოვს, თავიდან კმაყოფილები ჩანდნენ, მაგრამ მატჩის დაწყების წინ მთავარ მსაჯს შესჩივლეს, მოედანი ზედმეტად მოურწყავთ და თამაში არ შეიძლებაო. მსაჯიც დაეთანხმა და ვიდრე კორტი გაშრებოდა, დაწყება საათზე მეტით დაგვიანდა.

პირველად ჩესნოკოვი და ბეკერი შეიბნენ. გერმანელი სადღეისოდ მსოფლიოში მეოთხეა, ერთ დროს რუსთა ლიდერი კი 50 უძლიერესშიც არ შედის. დონეთა ასეთი სხვაობის მიუხედავად, ჩესნოკოვმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მრისხანე მეტოქეს და მხოლოდ ოთხსაათიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ დათმო შეხვედრა.

კაფელნიკოვ (6) — შტიხის (12) მატჩში გამარჯვებას პირველს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მასპინძელთა პირველმა ნომერმა ვერაფერი გააწყო გერმანელის ყუმბარისებურ მოწოდებასა და ბადესთან ბრწყინვალე თამაშთან.

ამრიგად, პირველი დღის შემდეგ სტუმრები დაწინაურდნენ 2:0 და პრაქტიკულად ყველამ საქმე მოთავებულად ჩათვალა. დარჩენილ სამ შეხვედრაში მათ ერთი ქულის აღებაღა ესაჭიროებოდათ და ამას უკვე შაბათს ვარაუდობდნენ. არცაა გასაკვირი — ობიექტურად, მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს ბეკერ — შტიხის დუეტს არ უნდა გასჭირვებოდა კაფელნიკოვისა და ოლხოვსკის დამარცხება. მაგრამ სწორედ აქედან დაიწყო გერმანელთა განადგურება. ორი ხელის წაგების შემდეგ მათ ანგარიშის გათანაბრება კი მოახერხეს, მაგრამ გადამწყვეტ სეტში ერთი თავისი მოწოდება დაუთმეს მეტოქეებს და ამან გადაწყვიტა კიდეც ოთხთაბრძოლის ბედი.

კვირას გერმანელებმა ხონჩით მიართვეს მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრების შანსი, როცა წელმტკივანი ბეკერის სანაცვლოდ კაფელნიკოვს 31-ე რეიტინგიანი კარბახერი დაუპირისპირეს. სოჭელიც აბა რას გაუშვებდა ხელიდან ასეთ ჩინებულ შესაძლებლობას.

და მაინც, ბოლო შეხვედრის წინ კვლავაც გერმანელები რჩებოდნენ ფავორიტებად, პირიქით კი მოხდა. ამის მთავარი მიზეზი, ვფიქრობთ, ისაა, რომ შტიხმა სამ დღეში სამი უმძიმესი მატჩი ითამაშა, ჩესნოკოვმა კი შაბათს დაისვენა. სწორედ ეს აღმოჩნდა გადამწყვეტი, როცა ოთხსაათნახევრიანი ორთაბრძოლის მიწურულს გერმანელი ჩოგბურთელი აშკარად სიქაგაცლილი იყო, კორტზე ძლივს დალასლასებდა და ერთიმეორეზე მიამიტურ შეცდომებს უშვებდა. მეხუთე სეტის ბოლოს ისეთი ამბები დატრიალდა, შტიხს ალბათ მთელი ცხოვრება კოშმარად დაამახსოვრდება, ჩესნოკოვს კი მადლიერმა თანამემამულეებმა სიცოცხლეშივე ძეგლი თუ არა, ბიუსტი მაინც უნდა დაუდგან. მე-14 გეიმში შტიხს ზედიზედ რვა მატჩბოლი ჰქონდა თავის მოწოდებაზე, მაგრამ ძალა აღარ ეყო იმ ერთადერთი ბურთის ჩასაგდებად. ბეწვზე ჩამოკიდებულმა, უნერვო რუსმა კი ის რვავე ქულა გადაარჩინა და ორ საათს გაგრძელებული გადამწყვეტი ხელის ბოლოს მეტოქის მოწოდებაც აიღო.

ამ გამარჯვებით რუსეთის ნაკრები ზედიზედ მეორედ გავიდა ფინალში და დეკემბრის დამდეგს საკუთარ კორტზე აშშ-ის გუნდს მიიღებს.

**აშშ — შვედეთი 4:1**

პიტ სამპრასი — ტომას ენკვისტი 6:3, 6:4, 3:6, 6:3, ანდრე აგასი — მათს ვილანდერი 7:6, 6:2, 6:2

ტოდ მარტინი, ჯონათან სტარკი — სტეფან ედბერგი, იონას ბიორკმანი, 3:6, 4:6, 4:6

მარტინი — ენკვისტი 7:5, 7:5, 7:6, სამპრასი — ვილანდერი 2:6, 7:6, 6:3

ამ მატჩშიც პირველი დღის მერე თამაშის ბედი გადაწყვეტილი ჩანდა. მასპინძლებს სათუოდ არ გაუხდიათ საქმე და უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანეს. თავისი ლიდერის, ფეხმოტეხილი მაგნუს ლარსონის (15) არყოფნით დასუსტებულმა შვედებმა კი მეოცე ჩოგან ედბერგს 31 წლის ვილანდერი ამჯობინეს, მაგრამ ხუთსეზონგაცდენილი ვეტერანი რას გააწყობდა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთან. არც სამპრასს (2) გასჭირვებია ენკვისტის (8) ძლევა.

მეორე დღეს სტუმრებმა წყვილთა შეხვედრის. მოგებით ანგარიშში სხვაობა კი შეამცირეს, მაგრამ მარტო ეს მათ წყალწაღებულ გუნდს რას უშველიდა.

კვირას, მასპინძლებმა, მკერდის კუნთდაჭიმული აგასი მარტინით (19) შეცვალეს. იმანაც იმედი არ გაუცრუა კიბოთი დაავადებულ თავის კაპიტანს ტომ გალიქსონს და ენკვისტის დამარცხებით ამერიკის ნაკრები 58-ედ გაიყვანა დევისის თასის ფინალში.

ბოლო შეხვედრას ფორმალური ხასიათიღა ჰქონდა და ამიტომაც ითამაშეს სამპრასმა და ვილანდერმა მხოლოდ ორ მოგებამდე.

გია ახალაძე

იმავე დღეებში გაიმართა უძლიერეს, „მსოფლიო ჯგუფში“ დასარჩენი თამაშები. გამარჯვებულები გაისად 16 უძლიერესს შორის იასპარეზებენ:

უნგრეთი — ავსტრალია 3:2, ნორვეგია — ბელგია 0:5, ინდოეთი — ხორვატია 3:2, ჩეხეთი — ზიმბაბვე 4:1, ვენესუელა — დანია 2:3, მაროკო — საფრანგეთი 0:5, მექსიკა — ესპანეთი 3:2, ახალი ზელანდია — შვეიცარია 1:4.

**ჩოგბურთელთა ასოციაციების ტურებზე**

11-17.IX. რუმინეთის ღია პირველობა. ბუქარესტი. ნახევარფინალი: თომას მუსტერი (ავსტრია, 1) — შანდორ ნოჟაი (უნგრეთი) 6:2, 6:2; გილბერტ შალერი (ავსტრია) — ქრისტიან რუდი (ნორვეგია) 6:3, 6:4. მიხაელ შტიხი (გერმანია, 2) 7:6, 6:3 დაამარცხა ჯეფ ტარანგომ (აშშ), ვისაც ასოციაციამ დისკვალიფიკაცია ერთი კვირით შეუმცირა, 20 ათასი დოლარი ჯარიმის გადახდა კი ნახევარი წლით გადაუვადა. სერხი ბრუგერა (ესპანეთი, 3) გააგდო ნოჟაიმ 6:4, 6:2. ესპანელი მსოფლიოს მე-20 ჩოგანია, უნგრელი — 143-ე!

18-24.IX. ტოკიო. ნახევაფინალი: არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 1) — გაბრიელა საბატინი (არგენტინა, 3) 6:3, 6:3; მარი პირსი (საფრანგეთი, 2) — ამანდა კეტცერი (სამხრ.აფრიკა) 6:0, 6:2. ფინალი: პირსი — სანჩეს-ვიკარიო 6:3, 6:3. კიმიკო დატე (იაპონია, 3) 6:4, 2:6, 6:3 დაამარცხა კორეელმა პაკ სუნ ხიმ.



# მიულოცეთ კულტჰარდს

პორტუგალიის დიდი პრიზის გათამაშებას სამივე დღეს მშვენიერი დარი შეესწრო. ოკეანისპირა, წყნარ ეშტორილში თერმომეტრი 25 გრადუსს უჩვენებდა.

პარასკევის კვალიფიკაცია გახსნა მასიმილიანო პაპისის „ეროუზმა“. წლევანდელი ჩემპიონატის დებიუტანტის საშუალოზე მშვიდი წრე — 182,7 კმ/სთ ორიენტირი გახდა მისთანა სუსტებისთვის.

ბობოლებიდან ტრეკზე პირველად დეიმონ ჰილი გამოჩნდა და ერთბაშად 5 კილომეტრი „წაუმატა“ იტალიელის შედეგს. მის კვალად გამოსულმა დევიდ კულტჰარდმა თანაგუნდელის შედეგი მეორე წრეზე გააუმჯობესა, მერე კი გერჰარდ ბერგერისა და მიხაელ შუმახერის ჯერიც დადგა. თუმცა, ბოლოს მაინც „უილიამსის“ დუეტმა იყოჩაღა: ჰილი პირველი იყო — 193,0 კმ/სთ, კულტჰარდი მას ოდნავ ჩამორჩა, „შუმის“ მაჩვენებელი კი მესამე გახდა. შაბათსაც ბრიტანელებმა აჯობეს ყველას, ოღონდ ერთმანეთში ადგილები გაცვალეს — კულტჰარდმა თანაგუნდელის შედეგი ორი კილომეტრით გააუმჯობესა და კარიერაში მესამე (ზედიზედ მეორე) „პოულიც“ დაიბევა. შუმახერი ბევრს კი ეცადა, მაგრამ მაინც მესამე პოზიციაზე დარჩა, მეოთხე ბერგერი იყო.

კვირას, რბოლის სტარტზე დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა. სამი მანქანა ნაფოტებად დაიშალა. ყველაზე მეტად იუკიო კატაიამა დაზარალდა — ლუკა ბადოერის „მინარდის“ ბორბალს წამოდებული მისი „ტირელი“ ჰაერში აფრინდა და ორჯერ შემობრუნდა, მერე კი რკინის ბარიერს მინარცხებული ისევ ტრასაზე დაეცა და დამტვრეულ-დანგრეული შუა გზაზე გაეხირა. რბოლა, ცხადია, შეწყდა. იაპონელი პილოტი კლინიკაში გააქანეს, სადაც, საბედნიეროდ, მხოლოდ მსუბუქი კონტუზია დაუდგინეს.

ხელმეორე სტარტისას აღარავინ დაშავებულა, ის იყო მხოლოდ, რომ შუმახერმა ძალზე იყოჩაღა და პირველივე მოსახვევთან მოახერხა ჰილის გასწრება. კულტჰარდმა თავიდანვე არავის დაანება პირველობა და ყოველ წრეზე ზრდიდა უპირატესობას. გზის ზუსტად მეოთხედის გავლის შემდეგ დაწინაურებულები მოლაპარაკებულებივით, ერთდროულად შევიდნენ ბოქსებში. ყველაზე მარჯვედ „ბენეტონის“ მექანიკოსები გაისარჯნენ — მხოლოდ 7,4 წამით შეაყოვნეს შუმახერი, ბერგერს რვანახევარი წამი დასჭირდა, კულტჰარდს — 10,6. ყველაზე დიდხანს — 16 წამით ჰილი შეფერხდა. შუა დისტანციაზე კულტჰარდმა მეორედ ჩაიმატა საწვავი (11,1 წამი) და ლიდერობაც ჰილმა იგდო ხელთ, თუმცა მხოლოდ ათიოდე წუთით. 45-ე წრეზე მასაც მოუხდა ბოქსებში შესვლა, რის შემდეგაც რბოლის სათავეში კვლავ შოტლანდიელი მოექცა და ბოლომდე აღარც დაუთმია პირველობა. ეს კულტჰარდის პირველი „გრან-პრია“ 21 რბოლაში. ამ გამარჯვებით 24 წლის პილოტმა ჩემპიონატში მეხუთედან მესამე ადგილამდე აინაცვლა.

ჰილი სამი წამით კი უსწრებდა „შუმის“, მაგრამ ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება. ფინიშამდე ცხრა წრეღა იყო დარჩენილი, როცა ერთ-ერთ მოსახვევში გერმანელის „ბენეტონმა“ შიდა მხრიდან სცადა „უილიამსის“ გასწრება. ჩემპიონმა ეს მანევრი ისე ოსტატურად შეასრულა, რომ ჰილს ისღა დარჩენოდა, გვერდზე გასულიყო და გაეტარებინა მეტოქე.

როგორც იქნა, ათი ეტაპის შემდეგ ორივე „ფერარი“ ექვსეულში აღმოჩნდა, თუმცა ბერგერიცა და ალეზიც პრიზიორებს უსაშველოდ ჩამორჩნენ.

ირაკლი ახალაძე

24 სექტემბერი. პორტუგალიის „გრან-პრი“. ეშტორილის ავტოდრომი. წრის სიგრძე 4360 მ. 71 წრე — 309,6 კმ. უსწრაფესი წრე — დევიდ კულტჰარდი („უილიამსი“) — 188,6 კმ/სთ.

1. დევიდ კულტჰარდი — 1:41.52,1 (საშუალო სიჩქარე 182, 3 კმ/სთ);
2. მიხაელ შუმახერი (გერმანია, „ბენეტონი“) — ჩამორჩა 7,3 წამით;
3. დეიმონ ჰილი (ბრიტანეთი, „უილიამსი“) — 22,1 წამით;
4. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“) — 84,8 წამით;
5. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი“) — 85,4 წამით;
6. ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი (გერმანია, „ზაუბერი“) — 1 წრით.

საერთო ჩათვლა: შუმახერი — 72, ჰილი — 55, კულტჰარდი — 39, ჯონი ჰერბერტი (ბენეტონი) — 38, ალეზი — 34, ბერგერი — 28, ფრენცენი — 15...

კონსტრუქტორთა თასი: ბენეტონი 100 ქულა, უილიამსი 88, ფერარი 62, მაკლარენი 21, ზაუბერი 18, ლიჟიე 16, ჯორდანი 14, ტირელი 2, ეროუზი 1.

**დევიდ კულტჰარდი (შოტლანდია)**



დაიბადა 1971 წლის 27 მარტს თვინჰოლმში. ცხოვრობს იქვე. უცოლოა.

სიმაღლე 182 სმ, წონა 70 კგ.

მრბოლის კარიერა კარტინგით დაიწყო 12 წლის წინ. 1992-93 წლებში „ფორმულა 3“ და „ფორმულა 3000“ კლასებში ასპარეზობდა.

ფორმულა 1-ში კულტჰარდის დებიუტი ძარძან მაისში, ესპანეთის „გრან-პრიზე“ შედგა. „უილიამსის“ საჭესთან მან „იმოლაზე“ დაღუპული აირტონ სენა შეცვალა. მანამდე გუნდის ტესტ-პილოტი იყო. შარშანდელ ჩემპიონატში სულ 8 რბოლაში მიიღო მონაწილეობა, 14 ქულა დააგროვა და დებიუტანტის კვალობაზე ჩინებულ შედეგსაც მიაღწია — VIII ადგილზე გავიდა.

თავისუფალ დროს თამაშობს გოლფს, დარბის, ცურავს. უყვარს ჩაი, იტალიური კერძები და ფილ კოლინზის სიმღერები.

ფრენკ უილიამსთან კულტჰარდის წლევანდელი კონტრაქტი ორნახევარი მილიონი დოლარია.

**აქეთური, იქითური**

ესპანეთის სამკვირიანი ველოტური „ვუელტა“ გუშინწინ დამთავრდა მადრიდში. იგი ერთობ დამაჯერებლად, მაგრამ პირველად მოიგო ფრანგმა ლორან ჟალაბერმა. მეორე ადგილზე გავიდა ესპანელი აბრაამ ოლანო, მესამეზე — ბელორუსი იოჰან ბრიუნილი.

*

გუშინწინვე როჩესტერში (ნიუ-იორკი), გოლფის უმნიშვნელოვანეს მატჩში, წელიწადგამოშვებით რომ იმართება, ევროპამ 14,5:13,5 დაამარცხა ამერიკა და „რაიდერის თასი“ დაიბრუნა. სტუმრები სამი დღის მანძილზე ერთთავად მასპინძელთა დაწევას ლამობდნენ, მაგრამ კვირას ერთობ იმარჯვეს პირისპირ შეხვედრებში. ევროპას გადამწყვეტი ქულა „რაიდერის“ თასის ახალბედამ, ირლანდიელმა ფილიპ ვოლტონმა შესძინა.

*

შაბათს ზიმბაბვეში დასრულდა სრულიად აფრიკის VI თამაშები, რომლის 11 დღის განმავლობაშიც აფრიკის 48 ქვეყნის 6000 ათლეტი ერთურთს ეჯიბრა სპორტის 21 სახეობაში. სამხრეთმა აფრიკამ სულ 62 ოქრო მოიპოვა, ეგვიპტემ — 60, ნიგერიამ — 37, ხუთი მონაწილე კი დოპინგზე გამოიჭირეს.

*

ცნობილი საკალათბურთო შოუ „ჰარლემ გლობტროთერსი“, როგორც იქნა, დაამარცხეს. 13 სექტემბერს ვენაში ქარიმ აბდულ ჯაბარის ბიჭებმა 91:85 მოუგეს მაწანწალებს, რომელთაც 1971 წლიდან მოყოლებული 8829 თამაში წაუგებლად გაემართათ.

*

ავსტრალიის რაგბის ლიგის უმთავრესი ჯილდო — „ვინფილდის თასი“ კვირას მოიგო „სიდნი ბულდოგზმა“, რომელმაც ე.წ. დიდ ფინალში სიდნეიში 17:4 დაამარცხა „მენლი-ვორინგა“. ამ შაბათს კიდევ ერთი დიდი ფინალია, ამჯერად მელბურნში: ავსტრალიური ბურთაობის საუკეთესო გუნდის სახელის მოსაპოვებლად ერთმანეთს შეეჯიბრებიან კარლტონის „ლურჯები“ და ჯილონგის „კატები“.

*

აზიიდან ატლანტის ოლიმპიადის კალათბურთელთა ტურნირში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს იაპონიამ და სამხრეთმა კორეამ.

*

იმის წყალობით, რომ 15 სექტემბერს მოგვარდა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) შრომითი კონფლიქტი, სეზონი დროულად, 3 ნოემბერს დაიწყება, ნბა-ს ჩემპიონი „ჰიუსტონ როკიტსი“ კი თავის აკიმ ოლაჯუონიანად ოქტომბერში ლონდონში ითამაშებს „მაკდონალდსის“ ტურნირში, რომელიც ერთგვარი მსოფლიოს საკლუბო პირველობაა.


**ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ გაიხსნა**

**საჩოგბურთო სკოლა „მ ზ ი უ რ ი“**



სწავლებას უხელმძღვანელებს წარსულში ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი თეიმურაზ კაკულია.

ბავშვებთან იმუშავებენ კვალიფიციური ინსტრუქტორები.

ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის ადმინისტრაციას (ჭავჭავაძის I ჩიხი, ბავშვთა ქალაქი „მზიური“, ჩოგბურთის კორტები).
ტელ: 23-01-49



**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29